მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 42
ტელეფონი 10—49
ხელისმომწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ —65 კ., დანარჩ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონით—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. ა. | ტექსტ-გარეშე—40 კ. აწყობა ციფრებით—60 კ., შუა გვერდებში—ორჯერ მეტი. სამგლოვიარო განცხადება—5 მან., განმეორებითი განცხადება 15 პროცენტ. შეღავათით განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

დღიური

— შემუშავებულია ინგლის-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების პროექტი.

— დაიხურა პროფინტერნის მესამე კონგრესი.

— მოსკოვში შესდგა მელითონეთა საერთაშორისო კონფერენცია.

— ბრაზილიის აჯანყებულების მდგომარეობა კრიტიკულია.

— ამერიკის ელჩმა დატოვა ბუქარესტი.

— მოსულის საკითხი ერთა ლიგას გადაეცა.

— საბჭოთა პავილიონი რიგის გამოფენაში დიდ ინტერესს იწვევს საზოგადოებაში.

№ 166 (1021) ხუთშაბათი 24 ივლისი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 4 კ. № 166 (1021)

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი
პარასკევს, 25 ივლისს
ერთიან პარტიულ დღეს

წინადადებას იძლევა საკითხები წამოაყენონ თვით რაიკომებმა და უჯრედებმა.

თბილისის კომიტეტის მდივანი—რუბენი.

კომინტერნის კონგრესის მსჯავრი

...ინ ჩვენ გამოვაქვეყნეთ კომინტერნის მეხუთე კონგრესის რეზოლუცია რუსეთის კომუნისტური პარტიის და გასული წლის ...გომაზე მასში წარმოებული დისკუსიის შესახებ.

...კ. პ. ძირითადი, უმთავრესი სექცია კომინტერნის, მისი სიძლიერე საწინდარია არა მარტო ...თა კავშირის პროლეტარიატის დიქტატურის სიმტკიცის, ...მედ „საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის წინსვლისაც", როგორც ხსენებულ რეზოლიუციაშია ნათქვამი.

გასაგებია, ამიტომ, რომ მთელი კომინტერნი მთლიანად გამოცდებით ადევნებს თვალყურს რ. კ. პ. შინაურ ვითარებას და მუდამ დგას მისი ინტერესების სადარაჯოზე.

ჩვენი პარტიის მდგომარეობა განსაზღვრულია ის მეთაურობს მსოფლიოში ერთად-ერთ სოციალისტურ საბჭ. რესპუბლიკების კავშირს, რომელიც გარემოცულია კაპიტალისტური რკალით. შიგნით ჩვენ ვაწარმოებთ აღმშენებლობას ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში, რომელიც ორპიროვან იარაღს წარმოადგენს. მას ვიყენებთ ქვეყნის სამეურნეო აღორძინებისათვის, სოციალისტურ ელემენტების გაძლიერებისათვის ეკონომიკაში, მაგრამ ამავე დროს ის ატარებს შესაძლებლობას ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარებისათვის. პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი სოციალური ბაზა —სამრეწველო მუშათა კლასი შედარებით მცირერიცხოვანია ჩვენს რესპუბლიკებში. გლეხური მოსახლეობა შეადგენს უდიდეს უმრავლესობას. ამას დაუმატეთ ახალი ეკონომიური პოლიტიკით განსაზღვრულ ფარგლებში სამოქმედოთ დაშვებული ბურჟუაზია, აგრეთვე ბურჟუაზიული ინტელიგენცია. ეს მრავალრიცხოვანი მასსა სტიქიურად თუ შეგნებულად მიილტვის განამტკიცოს ბურჟუაზიული ურთიერთობანი მეურნეობაში, თავის გავლენას დაუმორჩილოს სახელმწიფო აპარატი, მოახვიოს მუშათა კლასს და მის პარტიას თავისი იდეოლოგია. ის ცდილობს ...ამახინჯოს საბჭოთა სახელმწიფო აპარატი და ამა თუ იმ სახით შეიჭრას კომუნისტურ პარტიაშიც და შიგნით გარდაქმნას ის.

ამის მაჩვენებელი იყო კერძოდ ზამთარში ჩატარებული პარტდისკუსია. ე. წ. ოპოზიციის პლატფორმამ დისკუსიაში იყო გამოხატულება წვრილ-ბურჟუაზიულ გადახრისა. ასე შეაფასა იგი პარტიის მე-13 კონფერენციამ, მე-13 ყრილობამ, მთელმა პარტიამ, დაჰკრა „ოპოზიცია" და მისი გამოსვლები და უფრო მაგრად ჩასჭიდა ხელი ლენინიზმის დროშას. პარტიამ, მისმა კონფერენციამ, ყრილობამ კატეგორიულად აკრძალა ყოველგვარი ფრაქციების და ჯგუფების არსებობა პარტიაში და მოითხოვა მის წევრებს მთლიანობისაკენ, რიგების შემჭიდროებისაკენ, ლენინიზმის პრინციპების ურყევად დაცვის და გატარების საფუძველზე

ასეთივე მსჯავრი გამოიტანა მთელმა კომუნისტურმა ინტერნაციონალმა.

ჩვენი პარტიის დისკუსიის საკითხები თავის დროზე დაისვა კომინტერნის ყველა სხვა მთავარ სექციებში. მათ, საჭირო მასალის საფუძვლიანად შესწავლის შემდეგ, მოიწონეს რ. კ. პ. ცეკას უმრავლესობის, ლენინის უშუალო მოწაფეების, პოლიტიკა და გადაჭრით გაკიცხეს „ოპოზიცია".

ბოლოს ამ საკითხზე სთქვა თავისი უკანასკნელი და ავტორიტეტული სიტყვა კომინტერნის მეხუთე კონგრესმა.

კომინტერნის კონგრესმა, რომელიც უმაღლესი და უკანასკნელი ორგანოა ყველა კომპარტიებისათვის და რომლის წინაშე თავის პოლიტიკისა და მოქმედებისათვის ანგარიშვალდებულია თვითეული მათგანი, „დაკვირვებით განიხილა", როგორც ვკითხულობთ რეზოლიუციაში, რ. კ. პარტიაში გაჩენილ ოპოზიციის და დისკუსიის საკითხი და დაამტკიცა ამის შესახებ ჩვენი პარტიის მე-13 კონფერენციის და მე-13 ყრილობის მიერ მიღებული რეზოლიუციები. კონგრესმა აღიარა, რომ „კაპიტალისტურ გარემოცვასთან წარმატებით ბრძოლის საწარმოებლად, ბურჟუაზიულ გავლენათა აღსაკვეთად და საბჭოთა კავშირის განვითარების უზრუნველსაყოფად საჭიროა რევოლიუციონური სიმტკიცე და რ. კ. პ. მჭიდროთ გაერთიანება, რომელიც აღმოცენებულია ლენინიზმის პრაქტიკის და თეორიის საფუძველზე''.

ამნაირად, თუმცა ის დავა და უთანხმოება, რომელიც წარმოიშვა ჩვენს პარტიაში, დაძლეულ იქნა შინაგანი ძალებით და მას ბოლო მოუღო პარტიის მე-13 ყრილობამ, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ კომინტერნის ცალკე სექციებმა და კომუნისტურმა ინტერნაციონალმა მთლიანად მისი კონგრესის სახით ზურგი გაუმაგრეს ამ საკითხში ლენინის პარტიას და მის მიერ აღებულ გზას.

ეს კიდევ უფრო მაღლა სწევს ჩვენი პარტიის ხელმძღვანელ ორგანოების ავტორიტეტს პარტიულ მასსაში და მუშათა კლასში, არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც.

ამასთან ეს მოწმობს, თუ რამდენად უფრო და უფრო ღრმად ითვისებს კომუნისტური ინტერნაციონალი ლენინიზმის იდეურ და ორგანიზაციულ პრინციპებს.

პრაქტიკული დასკვნა კი კომინტერნის ამ დადგენილებიდან ჩვენი პარტიისათვის, კერძოდ ყოფილ ,,ოპოზიციონერებისათვის'', ის გამომდინარეობს, რომ ყოველთვის მტკიცედ გვქონდეს შეგნებული ის რთული და მძიმე პირობები, რომლებშიაც გვიხდება არსებობა და ბრძოლა; ამან უნდა გაზარდოს ყოველი ჩვენგანის პასუხისმგებლობის გრძნობა, უფრო მტკიცედ შეამჭიდროვოს ჩვენი რიგები ლენინიზმის ხაზის სისწორით გასატარებლად ცხოვრების ყოველ დარგში, მუშათა კლასის მტრების დასაძლევად, გაძლიერებული აღმშენებლობითი მუშაობის საწარმოებლად.

ტყის დაცვისათვის

საქართველო მდიდარია ტყეებით, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს რომ ის სამუდამოთ ასეთივე დარჩეს. ბუნების ყოველ სიმდიდრეს, როგორც სჭირდება, ტყეებსაც დიდი მოვლა-მზრუნველობა უნდა, რომ მუდამ უზრუნველყოფილი ვიყოთ როგორც ხე-ტყის მასალით, ისე იმ მშვენიერ კლიმატიურ პირობებით, რომელიც დამოკიდებულია ტყის არსებობაზე.

საქართველოს ბუნება, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოსი, ტყის აღმოცენებისა და ზრდისთვის ხელსაყრელ პირობებს იძლევა. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ უზოგავათ ვხარჯოთ, ვჩეხოთ ტყე და არ მივიღოთ ზომები მისი დაცვისა და გაშენებისთვის.

საქართველოს ბევრ ადგილებში ტყე უკვე განადგურებულია ყოფილი მთავრობების დროს წარმოებული მტაცებლური ექსპლოატაციით. იქ, სადაც წინათ ამწვანებულ-აყვავებული ტყეები იყო, დღეს ვხედავთ მხოლოდ გამოფიტულ კლდეებს, რომლებიც სარგებლობის ნაცვლად მხოლოდ ზიანს აყენებენ ჩვენ სასოფლო მეურნეობას.

სხვა სტიქიურ უბედურებათა შორის ნიაღვარი და წყალდიდობა სისტემატიურათ და ყოველწლიურათ აზიანებს საქართველოს მრავალ კუთხეებს. ჩვენი გლეხობა წელსაც ბევრგან აზარალა ნიაღვარმა, წყალდიდობამ და ქარიშხალმა. გვალვასთან ერთად ეს სტიქიური უბედურებანი მძიმე ლოდივით აწევს ჩვენს სასოფლო მეურნეობას და გასაქანს არ აძლევს მას.

ამ სტიქიურ უბედურებათა სისტემატიური ხასიათი აიხსნება ტყეების განადგურებით მთიან რაიონებში. წყალდიდობის დროს ყველა ერთხმათ გაიძახის ტყეების დაცვის საჭიროებაზე, მაგრამ სინამდვილეში ყველა ტყის გაჩეხვაზე უფრო ფიქრობს, ვიდრე მის მოვლა-პატრონობაზე.

სატყეო ტრესტი, რკინისგზა, სამაზრო და სარაიონო აღმასკომები და თვით გლეხობა ყველა სცდილობენ ტყე შემოსავლის წყაროთ გაიხადონ; ყველა ენერგიულათ აწარმოებს მის გაჩეხვას, მაგრამ მის აღდგენაზე ნაკლებათ თუ ვინმე სცდილობს.

რამოდენიმე თვის წინათ დამტკიცებულ იქნა საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ჩვენი სატყეო კოდექსი, რომელიც ითვალისწინებს როგორც მოსახლეობის მოთხოვნილებებს, ისე ჩვენი სახელმწიფოს მომავლის ინტერესებს. კოდექსი მოსაწონია, მაგრამ საჭიროა მისი შესრულებაც, რომ რაციონალური სატყეო მეურნეობის წესები დაცულ იქნეს, რომ ჩვენი ქვეყანა მომავალშიც ტყით უზრუნველყოფილი დარჩეს.

ტყის მცველთა შტატი მცირეა, მათი მატერიალური მდგომარეობა უმწეოა. ღარიბი გლეხობა მთიან რაიონებში თავს ვერ იკავებს ტყეების გაჩეხვისგან. მიწის სიმცირის გამო ის სცდილობს ტყის ხარჯზე გაადიდოს თავისი სათესი ადგილების სივრცე ორიოდე წლით მაინც. თავისი ხელმოკლეობის გამო ის აწარმოებს ძვირფასი სატყეო ჯიშების გაჩეხვასაც, რომ ბაზარზე გაიტანოს, ან და თავის სახლ-კარის ასაშენებლათ მოიხმაროს.

მოსახლეობა იზრდება, იზრდება მისი მოთხოვნილებაც საამშენებლო მასალაზე და ეს ყოველივე ტყის განადგურებას უწყობს ხელს.

ტყის დაცვის საქმეს სხვათა შორის ხელს შეუწყობს აგურ-კრამიტის ქარხნების გამრავლება პროვინციაში. გლეხობა უნდა მიეჩვიოს ყავრის ნაცვლად კრამიტის ხმარებას, აგრეთვე აგურის გამოყენებას ფიცრების მაგიერ.

ეს კარგი იქნება როგორც ტყის შენახვისათვის, ისე ჩვენი სოფლების ცეცხლისაგან დაცვისთვის.

წარსულში ტყეების ექსპლოატაცია სწარმოებდა მხოლოდ ისეთ ადგილებში, რომლებიც მდინარეებთან და რკინისგზებთან ახლო მდებარეობენ. იმ დროს, როდესაც მიუვალ ადგილებში ტყე უსარგებლოთ ლპებოდა, უახლოეს ადგილებში ის სამუდამოთ ისპობოდა, რაც ჰავის და ნიადაგის გამოცვლასთან ერთად თვით მოსახლეობასაც განადგურებას უმზადებდა. ტყის დამუშავების ეს ძველი მეთოდი ჩვენ დროს მაინც სავსებით უნდა იქნას უარყოფილი.

მართალია მოთხოვნილება ხე-ტყის მასალაზე დღესაც დიდია, ხეტყის დამზადება დღესაც უნდა სწარმოებდეს, მაგრამ ყოველივე ეს უნდა ხდებოდეს საერთო სატყეო სახელმწიფოებრივი გეგმის სრული დაცვით.

ტყეები დღეს სახელმწიფოს ხელშია და მხოლოდ დღეს არის შესაძლებელი საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესების წინ დაყენება. ყველა გრძნობს, თუ რა საფრთხე მოელის ჩვენს ქვეყანას ტყეების მოსპობით; ტყეების აღდგენა შემდეგ ზოგიერთ ადგილებში მაინც შეუძლებელი გახდება ძალიანაც რომ მოვინდომოთ. ჩვენი ტყეები დღეს უმთავრესად მთიან და კლდიან ადგილებშია და ეს ადგილები მეურნეობის სხვა დარგისთვის მეტწილად სრულებით გამოუსადეგარნი არიან. მით უფრო მეტი მზრუნველობა გვმართებს მათი დაცვისა და შენახვისთვის.

ჩვენ ტყეებს დიდი სარგებლობის მოცემა შეუძლიათ, ისე რომ არ მოხდეს მათი განადგურება და დაზიანება. ამისათვის კი საჭიროა სატყეო მეურნეობის წესების და ამას წინათ გამოქვეყნებულ სატყეო კოდექსის სრული დაცვა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მომხდარი ნიაღვარი და წყალდიდობა ერთხელ კიდევ მოგვაგონებს ტყის დაცვის საჭიროებას.

ვიფიქროთ არა მარტო ტყით სარგებლობაზე, არამედ მის წესიერ მოვლა-პატრონობაზეც.

ი. ბ.

შენიშვნები კულტურული შეფობის შესახებ

ამ დღეებში თბილისის ქალაქის რაიკომმა მოიწვია სხდომა კულტშეფებისა ამ უკანასკნელთა მუშაობის გაცნობის მიზნით. სხდომაზე შეფკომისიების წარმომადგენლებმა მოკლეთ დაახასიათეს მათ მიერ სოფლათ ჩატარებული მუშაობა. როგორც მოხსენებებიდან სჩანდა, შეფკომისიები ენერგიულად შესდგომიან დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებას.

შეფობა ჩვენში სულ ახალი მოვლენაა, მას მხოლოდ ერთი წლის ისტორია აქვს და, როგორც ასეთი, რასაკვირველია, ის ჯერ კიდევ ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე; არ არის იგი აგებული ერთ გეგმაზე, არ არის ჩასმული ერთ განსაზღვრულ ჩარჩოში. მართალია, შეფობას—მისი სახელწოდებით „კულტურული შეფობა"—ჰქონდა მიცემული ერთნაირი მიმართულება, გარდა ამისა ს. კ. პ. ც. კ-თან არსებულ ცენტრალურ კულტშეფბიურომ და თბილისის შეფბიურომაც გამოიმუშავეს სათანადო ინსტრუქცია შეფების სახელმძღვანელოთ,—მაგრამ ამ ინსტრუქციის სრულიად და სისწორით გატარება ცხოვრებაში ჩვენი გამოუცდელი შეფების მიერ არც თუ ისე ადვილი იყო. ამიტომ არ არის გასაკვირი, თუ ჩვენი შეფების მუშაობას ჯერჯერობით თან ახლავს სხვადასხვა ნაკლი.

საჭიროა ხელმძღვანელ ორგანოებმა თვალყური ადევნონ მათი მუშაობის ყოველ ნაბიჯს და ხშირ-ხშირად მიაწოდონ მათ საჭირო განმარტებანი და დარიგებანი.

უპირველეს ყოვლისა შეფების მიერ სასტიკად უნდა იქნეს გატარებული კულტურული ხაზი. ის უვიცობა და სიბნელე, რომელიც დაუტოვა მეფის რეჟიმმა ჩვენს მშრომელ მასსას და, განსაკუთრებით გლეხობას, ხელს უშლის ამ უკანასკნელთ ნათლად წარმოიდგინონ მთელი მნიშვნელობა დღევანდელი განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მთელი თავის ძალ-ღონით ჩაებან აღმშენებლობით მუშაობაში. ამიტომაა, რომ საბჭოთა ხელისუფლება დაკვრითი წესით შეუდგა ამ უვიცობის აღმოფხვრას ჩვენს მშრომელთა ფენებში, ამიტომაა, რომ მთელი 50 პროც. მეტი სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვისა გადადებულია განათლების საქმეებზე. აი, სწორეთ ამ მიზნითაა შემოღებული კულტურული შეფობაც სოფლებზე.

შეფები ვალდებული არიან ხელი შეუწყონ სოფლად წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობას, გლეხთა შეგნების ამაღლებას სხვადასხვა კულტურული დაწესებულებების დაარსებით: სკოლები, ქოხ-სამკითხველოები, კლუბები, სახ. სახლები, კოოპერატივები, არტელები და სხ.; შეფები ვალდებული არიან აუხსნან გლეხებს და გააგებინონ მნიშვნელობა საბჭოთა ხელისუფლების მიერ გამოცემულ მთავარ განკარგულებებისა და დეკრეტებისა; შეფებმა უნდა შეაგნებინონ გლეხებს, რომ ყოველი ნაბიჯი საბჭოთა მთავრობისა გადადგმულია მათ საკეთილდღეოთ და ამიტომ ისინი ვალდებული არიან მხარი დაუჭირონ და დაეხმარონ მას, რითაც კი შესაძლო იქნება მათი მხრით.

ხშირია ისეთი მოვლენა, როდესაც გლეხს აქვს რაიმე საქმე გასაკეთებელი ქალაქის სხვადასხვა დაწესებულებაში, მაგრამ თავის უვიცობისა გამო არ იცის სად და ვის მიმართოს—აი აქ საჭიროა შეფებმა იურიდიული დახმარება აღმოუჩინონ მათ.

შეფები ვალდებული არიან აგრეთვე ხელი შეუწყონ სოფლად რელიგიურ ცრუმორწმუნეობის აღმოფხვრას, რომელიც გლეხთა სიბნელის მთავარ საფუძველს წარმოადგენს.—აი ის მთავარი საკითხები, რომელთაკ მთელი თავის ყურადღება უნდა მიაქციონ შეფებმა.

ზემოთ აღნიშნული სხდომაზე გაკეთებულ მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ზოგიერთ შეფებს, გარდა კულტურული დახმარებისა, მატერიალური დახმარების აღმოჩენაც განუზრახავთ სოფლისათვის და ისიც სულ სხვა დარგში, როგორც არის მაგალითად წყალსადენის გაყვანა შეფის ხარჯზე, გზების გაყვანა, ელექტროფიკაცია და სხ. ნათქვამია ორი კურდღლის მდევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო. ასე მოუვათ შეფებს, თუ ისინი ყველაფრის გაკეთებას მოინდომებენ. უნდა ახსოვდეთ შეფებს, რომ მათი მქლე ჯიბე გლეხების ყველა მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებს და ბოლოს მათ უნდა იმუშაონ თავიანთ მატერიალურ შესაძლებლობათა ფარგლებში და უმთავრესი ყურადღება მიაქციონ გლეხობის კულტურულად გათვითცნობიერების საკითხს.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე შემდეგი გარემოება შეფების მუშაობაში. სულ რამდენიმე თვეა, რაც ამა თუ იმ დაწესებულებას აუღია შეფობა რომელიმე სოფელზე. ამ მოკლე ხნის განმავლობაში მას იქ სკოლაც გაუხსნია, ქოხ-სამკითხველოც, კლუბიც, კოოპერატივიც და სხ. ერთის შეხედვით ეს გულს გვიხარებს, მაგრამ მეორე მხრით კი ეჭვი გვეპარება ასეთი საქმის კარგ ღირსებაში. სკოლის გახსნა, ქოხ-სამკითხველოს დაარსება, კლუბის და კოოპერატივის მოწყობა არც თუ ისე ადვილი საქმეა ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში. მას მრავალი ობიექტიური პირობები ეღობება წინ. მთავარი მათგანი ეს არის მატერიალური მხარის სისუსტე და კულტურული ძალების უყოლობა. ნუთუ ასე მოკლე ხანში შეფებმა ერთი დაბრკოლებაც გადალახეს და მეორეც. რომ ეს ასე არ არის, ამას ნათელს ფენს მოხსენებებში აქა-იქ ჩართული შენიშვნები, რომელნიც გვეუბნებიან ხან კოოპერატივის მუშაობის შეჩერებაზე, ხან კლუბის, ხან სკოლის და სხ., ან ზოგიერთ შემთხვევებში მათი მუშაობის სისუსტეზე. აქ უნდა გავაფრთხილოთ შეფები, რომ საჭიროა ყოველ საქმეში თანდათანობითი წინსვლა. ყველაფრის ერთბაშათ გაკეთება უსათუოდ ავნებს საქმის ღირსებას. საჭიროა შეფმა კარგად შეისწავლოს საშეფო სოფლის მოთხოვნილება და პირველ რიგში გააკეთოს ის, რაც მეტად ეჭირვება სოფელს. ამასთან, მანამ არ დააყენებს პირველად დაწყებულ საქმეს მტკიცე ნიადაგზე, არ უნდა გადავიდეს სხვა რამეზე.—უმჯობესია ცოტა და კარგი—გვასწავლიდა ჩვენ ბელადი.

საჭიროა ცოცხალი კავშირი იქონიონ შეფებმა შეფბიუროსთან. ამასთან ერთად სასურველია ხშირად იმართებოდეს შეფების კრებები, რომ გაუზიარონ ერთმანეთს თავისი აზრები და პრაქტიკული მიღწევები.

ვიმეორებ, რომ რაც მთავარია—საქმის სიყვარული და ენერგია—ჩვენს შეფებს საკმაო აქვთ, სჭირდებათ მხოლოდ სწორი ნიადაგის გამონახვა (რაშიაც მათ დაეხმარება საშეფო ბიუროები) და მიზანიც სავსებით მიღწეული იქნება.

პ. ს.

მოკავშირეთა კონფერენცია

ბანკირების დიქტატურა მოკავშირეთა კონფერენციაზე

ბანკირების პროტესტის გამო გადაიდო კონფერენციის პლენარული სხდომა

გერმანია ჯერაც არ არის მიწვეული კონფერენციაზე

გერმანიისათვის სესხის მიცემის პირობების გამოსარკვევად ბანკირი მორგანი ლონდონში მიემგზავრება

გერმანიის მემარჯვენე ჯგუფები წინააღმდეგი არიან კონფერენციაზე გერმანიის წარმომადგენლების გაგზავნის

ბანკირების პროტესტი

რატომ გადაიდო პლენარული სხდომა.

ნაუენი. 23 ივლ. ლონდონიდან მიღებულ ცნობების თანახმათ, ამერიკის და ბრიტანეთის ბანკირებმა პროტესტი განაცხადეს კომისიების მიერ შემუშავებულ შეთანხმებების წინააღმდეგ, რომლებიც სარეპარაციო კომისიას ავალებენ დააწესოს გერმანიის მიერ თავისი ვალდებულებების არ შესრულების ფაქტები, საფრანგეთს კი უფლებას ანიჭებენ დამოუკიდებლათ იმოქმედოს გერმანიის მიმართ. როგორც ეხლა გამოირკვა, ბანკირების პროტესტმა გამოიწვია კონფერენციის პლენარული სხდომის გადადება და ამ ჟამათ მაკდონალდი ყველა ზომებს ხმარობს იმისათვის, რომ გამონახოს საერთო ფორმულა, რომლის გარშემო შესაძლებელი იქნება ბანკირების აზრის შეთანხმება.

გადაიდო შემდეგისათვის.

ბერლინი. 22 ივლ. კონფერენციის პლენარული სხდომა, რომელიც უნდა შემდგარიყო სამშაბათს გადაიდო შემდეგი დღისათვის.

ბანკირები „იცავენ" გერმანიას

ბანკირები გარანტიებს მოითხოვენ

ლონდონი, 23 ივლისი. იმ მოლაპარაკებასთან ერთად, რომელიც ეხლა სწარმოებს კონფერენციაზე, აღსანიშნავია თათბირი, რომელიც დღეს დილით შესდგა მაკდონალდსა, ერრიოსა, ტენისსა, სტეფანისა და კოლეგგს შორის, და აგრეთვე მოკავშირეთა დელეგაციების და ბანკირების წარმომადგენლების და ფინანსიური ექსპერტების თათბირი.

ფიქრობენ, რომ კონფერენციის პლენარულ სხდომაზე წარდგენილი იქნება ბანკირების გარკვეული აზრი 800 მილ. ოქრ. მარკის სესხის გამოშვების შესახებ.

მთელი რიგ დაბრკოლებებს ჰქონდა ადგილი ბანკირებთან სესხის შესახებ წარმოებული მოლაპარაკების დროს, ბანკირები, რომელთა ხელში იქნება ოქროს სესხის 400 მილ. მარკის ობლიგაციები, აცხადებენ, რომ მოცემული გარანტიები საკმარისი არ არის და რომ სასურველია, რომ მიცემული იქნეს კიდევ წერილობითი ვალდებულება იმის შესახებ, რომ არც ერთი სახელმწიფო არ მიმართავს სეპერატიული მოქმედებას გერმანიის წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ შესრულებული არ იქნება თავის თავზე აღებული ვალდებულებანი. ბანკირები შიშობენ, რომ რაიმე მოულოდნელ პოლიტიკურ მოსაზრებებით, გერმანია შეიძლება ხელ-ახლა იქნეს დაპყრობილი და ასეთ შემთხვევაში აუცილებელ არევ-დარევის დროს გაქრება სესხის ვალდებულებათა შესრულების ყოველგვარი შეძლებლობა.

ერრიოს შიში.

ლონდონი. 28 ივლისი. ამჟამათ ერრიო არ ფიქრობს აბსოლიუტური გარანტიები მისცეს ბანკირებს გერმანიის შინაურ საქმეებში სეპარატიულათ არ ჩარევის შესახებ. მაგრამ კიდეც რომ დათანხმდეს ის ამაზე, **მისი კაბინეტი ვერ გადაურჩება იმ ალიაქოთს, რომელსაც გამოიწვევს ეს საკითხი დეპუტატთა პალატაში. მეორეს მხრივ. თუ აღნიშნული გარანტიები არ იქნა მიცემული, მაშინ სესხისათვის საჭირო ფულების შოვნა შეუძლებელი იქნება.**

დღეს დილით შესდგა ბრიტანეთის კაბინეტის სხდომა, რომელზედაც განხილული იყო კონფერენციის მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები.

მორგანი მუშაობს

ლონდონი. 22 ივლისი. როგორც იტყობინებიან ამერიკის ბანკი „მორგან-კამპანი" მზადაა ხელი მოაწეროს სარეპარაციო სესხის 50 პროცენ, რაც უდრის 40.000.000 გირ. სტერლინგს.

ბანკირების სურვილისაებრ.

პარიზი. 22 ივლისი. დღეს საღამოს მოკავშირე სახელმწიფოების ფინანსთა მინისტრების და ბანკირთა წარმომადგენელთა თათბირი განიხილავს გარანტიების გეგმას, რომელიც უნდა შეთანხმებული იყოს ბანკირთა მოთხოვნილებთან გეგმა გამოიმუშავა ბელგიის პრემიერმა ტენისმა.

პარიზი. 23 ივლისი. ბრიტანეთის პრესის ცნობებით, სნოუდენს, კლემენტალს, ტენისს და სტეფანის თათბირი ჰქონდათ ინგლისის ბანკის დირექტორ მონტეგიუ ნორმანთან მორგანის ბანკის წარმომადგენელთან ლამონთან **იმ გარანტიების საკითხის შესახებ, რომლებიც ეძლევა გერმანიის სესხის ობლიგაციების ხელისმომწერთ,** თათბირის დროს ბანკირებმა შეიტანეს წინადადება, რომლებიც **გულისხმობენ ზოგიერთ ცვლილებას პირველი კომისიის დადგენილებაში.**

„თვითონ" მიემგზავრება.

ნაუენი. 23 ივლისი. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ **პირ პონტ მორგანი ნიუ-იორკიდან ლონდონში გაემგზავრება 26 ივლისს.**

რურის საკითხი

ლონდონი. 23 ივლისი. ქვეკომისიამ, რომელიც იხილავდა რურის ეკონომიურად განთავისუფლების გეგმას, დღეს დაამთავრა თავისი მუშაობა; მან შეიმუშავა მოხსენება, რომელიც ოთხშაბათ დილით განხილული იქნება კომისიის პლენარულ სხდომაზე. კონფერენციის პლენარული სხდომა გაიმართება იმავე დღის საღამოს. შეთანხმება, რომელსაც მიაღწია ამ მნიშვნელოვანმა ქვეკომისიამ, საერთო კმაყოფილებას იწვევს, რადგან მან შესძლო მთელ რიგ რთულ დაბრკოლებათა გადალახვა. დაეყრდნო რა სარეპარაციო კომისიის მიერ ა. წ. 15 ივლის დაწესებულ ღონისძიებებზე, რომლებიც შეეხება დოუესის გეგმის გატარებას ცხოვრებაში, ქვეკომისიამ შეიმუშავა ამ მიზნის განხორციელებისათვის საჭირო მთავარი ნაბიჯები. ქვეკომისიამ დოუესის გეგმის ცხოვრებაში გატარების ვადის დაწესების დროს მხედველობაში მიიღო ამ გეგმის განხორციელების დაჩქარების აუცილებლობა და, ამრიგათ, თუ გერმანიის მიერ შემუშავებული კანონ-პროექტები დამტკიცებული იქნება სარეპარაციო კომისიის მიერ 15 აგვისტოსათვის, მაშინ საჭირო იქნება მხოლოდ რამოდენიმე კვირა, რომ აღდგენილი იქნეს რურში გერმანიის ეკონომიური სუვერენიტეტი იმავე სახით, როგორიც ის იყო ოკუპაციის დაწყებამდი.

იუზი მორგანის აგენტია

იუზი ეხმარება მორგანს.

პარიზი, 23 ივლისი. ბანკეტზე იუზმა განაცხადა, რომ საჭიროა ჩავაგონოთ იმ პირებს, რომლებიც ხელს მოაწერენ გერმანიისათვის საჭირო სესხის ობლიგაციებზე, რომ ისინი ნდობით მოეპყრან ამ სესხს. მან სთქვა, რომ ამერიკის ხალხი იტოვებს უფლებას თავისუფლათ შეაფასოს ამბები; ამერიკის ხალხი ყველაზე უფრო მიილტვის მშვიდობიანობისაკენ. დასასრულ მან განაცხადა, რომ „ამერიკელები დაინტერესებული არიან დოუესის გეგმით, რომელიც გზას გაუხსნის ურთიერთ ნდობას და საერთო კეთილ დღეობას".

პრესაც ხელს უწყობს.

პარიზი, 23 ივლისი. ამერიკის პრესა კმაყოფილებას გამოსთქვამს ლონდონის კონფერენციის მუშაობის გამო და **აგიტაციას ეწევა გერმანიისათვის სესხის მიცემის სასარგებლოდ.**

გერმანიის პირობები

ბერლინი. 23 ივლისი. „დეილი ტელეგრაფ"-ის ბერლინელი კორესპოდენტი იტყობინება, რომ გერმანიის მთავრობა კონფერენციის დადგენილებას მიიღებს შემდეგი სამი პირობის მიხედვით: 1) მოკავშირეთა არც ერთი მოხამსახურე არ უნდა დარჩეს გერმანიის რკინის გზებზე რურში; 2) სანქციების კომისიის დადგენილება შეცვლილ იქნება იმ მხრივ, რომ მოკავშირეთა არც ერთ **სახელმწიფოს არ მიენიჭება უფლება დამოუკიდებლათ იმოქმედოს გერმანიის მიმართ ანდა დაიპყროს მისი ტერიტორია;** 3) მიცემული უნდა იქნეს საბოლოო გარანტია **რურის სამხედრო ოკუპაციის შეწყვეტის შესახებ დაწესებულ ვადაზე ადრე.**

როდის მიიწვევენ გერმანიას

ბერლინი 22 ივლისი. გუშინ გერმანიის ელჩსა და სხვა და სხვა დელეგაციების მეთაურებს შორის სწარმოებდა ოფიციალური მოლაპარაკება კონფერენციაზე გერმანიის მონაწილეობის შესახებ. საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული. გერმანიის ელჩმა ისარგებლა შემთხვევით და გადასცა დელეგატებს გერმანიის მთავრობის მემორანდუმი, რომელშიაც გამოთქმულია გერმანიის თვალსაზრისი კონფერენციაზე დასმულ საკითხების შესახებ.

უკმაყოფილება გერმანიაში

„ბოიკოტი" კონფერენციას.

პარიზი, 23 ივლისი. გერმანიის პოლიტიკურ ასოციაციათა მთავარმა კომიტეტმა წინადადება მისცა მთავრობას არ გაგზავნოს თავისი წარმომადგენლები ლონდონში.

ნაციონალისტების წინადადება.

„დეიჩე ალგემაინე ცეიტუნგის" ცნობით, ნაციონალისტებმა რეიხსტაგში შეიტანეს წინადადება, რომელიც იწვევს მთავრობას გამოვიდეს დეკლარაციაზე. დეკლარაციაში უნდა იყოს აღნიშნული, როგორ პოზიციას დაიკავებს მთავრობა ლონდონის კონფერენციაზე.

რეიხსტაგის ნაციონალისტებმა წინადადება მისცეს მთავრობას მონაწილეობა მიიღოს ლონდონის კონფერენციაზე, მაგრამ იმ აუცილებელ პირობით, **თუ გერმანიას მოლაპარაკების დროს ექნება ისეთივე უფლებები, როგორც სხვა სახელმწიფოებს.**

თათბირი.

კანცლერმა მარქსმა კონფიდენციალური მოხსენება გაუკეთა რეიხსტაგის პოლიტიკურ პარტიების ლიდერებს, გარდა ნაციონალისტების და სოციალისტების ლიდერებისა, დოუესის გეგმის შესრულების პროექტის შესახებ.

გერმანიის პრესის აზრი.

გერმანიის პრესა განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა მიმდინარე პოლიტიკურ მომენტს. „ფორვერტსი" კომენტარიებს უკეთებს ნაციონალისტების პოზიციას და გამოსთქვამს აზრს, რომ ნაციონალისტები ემორჩილებიან მთავრობის პოლიტიკას ლონდონის კონფერენციის საკითხში. „ბერლინერ ტაგებლატი" ამბობს, რომ სინდისის ქვეშ უნდა განვაცხადოთ, რომ სანქციები არ იქნება დადებული ცალკე სახელმწიფოების მიერ და რომ არ იქნება დარღვეული გერმანიის ტერიტორიის მთლიანობა.

პროტესტი საფრანგეთის პოლიტიკის წინააღმდეგ.

ოკუპაციით დაკავებულ რაიონების საქმეთა კომისიამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს მთავრობისაგან პროტესტის განცხადებას საფრანგეთის განზრახვის წინააღმდეგ დატოვოს რურში 4.000 თავისი რკინისგზელი. რეიხსტაგის გარეშე საქმეთა კომისიაში რეიხსბანკის თავმჯდომარემ შახტმა და შტრეზემანმა გააკეთეს მოხსენება ლონდონის კონფერენციის მუშაობის შესახებ.

პრესა კონფერენციის შესახებ

ინგლისის პრესა კმაყოფილია.

ლონდონი, 23 ივლისი. ბრიტანეთის პრესა წინანდებურათ ოპტიმისტურათ უცქერის კონფერენციის მუშაობას. „დეილი ტელეგრაფ"-ი ეხება რურის ეკონომიურ „დემობილიზაციას" და ამბობს, რომ ფრანგები იძლევიან „მეტისმეტი კეთილ სინდისიერების დამამტკიცებელ საბუთებს" და ამიტომ აუცილებელია, რომ გერმანიაც ასე კეთილსინდისიერათ მოიქცეს. საფრანგეთის პრესაც დიდ ყურადღებას აქცევს ლონდონის კონფერენციის მუშაობას და ბანკირებთან მოლაპარაკებას.

ფრანგ კაპიტალისტებსაც სურთ ხელი მოითბონ.

„პტი პარიზიენ"-ი აღნიშნავს, რომ 800 მილ. ოქროს მარკის სესხის გამოშვება მეტად ხელსაყრელ პირობებში სწარმოებს და რომ ეს სესხი სრულ გარანტიას აძლევს ხელის მომწერლებს. გაზეთი ამბობს, რომ გერმანია, როგორც კაპიტალი, უდიდეს სიმდიდრეს წარმოადგენს თავისი წარმოებების მრავალრიცხოვანობისა, დაუღალავ ეკონომიურ მოღვაწეობისა და განუწყვეტელ წარმოების გამო. გაზეთი აღნიშნავს, რომ მრავალი მსხვილი წარმოებები ხშირათ სწრაფათ ვითარდებოდენ, თუმცა მათ არ ჰქონიათ დიდი თანხები და მათი მუშაობა გაცილებით უფრო ნაკლებ ხელსაყრელ პირობებში მიმდინარეობდა.

„პუანკარეს პოლიტიკა არ შეიცვლება".

ეხება რა საფრანგეთ-ბრიტანეთის უთანხმოებას კონფერენციაზე, „მატენი" აღნიშნავს, რომ პუანკარეს მთავრობამ მიიღო დოუესის გეგმა, მაგრამ მას არასოდეს არ მიუცია დაპირება იმის შესახებ, **რომ შეცვლიდა ვერსალის ხელშეკრულების მნიშვნელოვან მუხლებს სესხის ობლიგაციების მეპატრონეთა და ბანკირების სასარგებლოთ.** „პტი პარიზიენ"-ი აღნიშნავს, რომ **ერრიო უფრო ადვილათ დათანხმდება მსხვერპლათ შესწიროს მთელი 800 მილ. მანეთის სესხი, ვიდრე შელახოს საფრანგეთის სუვერენიტეტი.**

„პტი ჟურნალ"-ი ამბობს, რომ თუ ბანკირების როლი მდგომარეობს მოლაპარაკების წარმოებაში, **მაშინ** მთავრობის მოვალეობას **შეადგენს** მმართვა-გამგეობის საქმის გაძღოლა და მოლაპარაკების წარმოება; **იმ** შემთხვევაში მან არ უნდა **დასთმოს** თავისი უფლებები.

„ტან"-ი ამბობს, რომ შთაბეჭდილება კონფერენციის მუშაობისაგან ხელსაყრელია; სულ სხვა მდგომარეობა იქნებოდა, თუ ჩვენ დავეყრდნობოდით ზოგიერთი გაზეთების პესიმისტურ კომენტარიებს. ტენისი ამზადებს ფორმულას, რომელიც შეძლებს მხარეების ყველა ინტერესების მორიგებას.

უკანასკნელი ცნობები

მოკავშირეთა კონფერენციაზე

ფრანგები გერმანიის მიწვევის წინააღმდეგი არიან.

ბერლინი, 23 ივლისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, მაკდონალდმა გუშინ პირველათ დააყენა საკითხი კონფერენციაზე გერმანიის მიწვევის შესახებ. იუწყებიან, რომ ფრანგები წინააღმდეგი არიან გერმანიის მიწვევის, სანამ მოკავშირეებს შორის არ იქნება მიღწეული სრული შეთანხმება.

ამერიკელების ახალი გეგმა.

ბერლინი, 23 ივლისი. ამერიკის ელჩმა ლონდონში კოლოგმა წამოაყენა ახალი წინადადებები გერმანიის მიერ თავის ვალდებულებათა შეუსრულებლობის ფაქტის დახადასტურებლათ და შემდეგ რეპრესიული ზომების მისაღებათ. ამ გეგმის თანახმად, სარეპარაციო კომისია ამერიკელ წევრებთან ერთად ადასტურებს გერმანიის მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობას, რის შემდეგ სარეპარაციო კომისია მიმართავს ამერიკის გენერალურ კომისარს და გერმანიის სესხის ობლიგაციების მეპატრონეთა წარმომადგენელს იმის გამოსარკვევად—გამოწვეულია თუ არა გერმანიის მიერ თავის ვალდებულებათა შეუსრულებლობა ბოროტი განზრახვით, თუ გერმანიის მთავრობისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით. თუ ბოროტი განზრახვის ფაქტი დადასტურდა, სარეპარაციო კომისია მიმართავს რეპრესიულ ზომებს გერმანიის სესხის ობლიგაციების მეპატრონეთა ინტერესების უზრუნველსაყოფად.

„საფრანგეთის ღირსება".

ბერლინი. 23 ივლისი. რურში ფრანგ და ბელგიელ რკინისგზელების დატოვების საკითხში შეთანხმება ჯერ მიღწეული არ არის. ინგლისელების წინადადება ფრანგ რკინისგზელების ერთ რომელიმე სტრატეგიულ პუნქტში შეკრების შესახებ, უარყო ფრანგებმა, რომლებმაც განაცხადეს, რომ „საფრანგეთის ნაციონალური ღირსება არ აძლევს მათ უფლებას მოაწყონ თავიანთ მოსამსახურეებისათვის საკონცენტრაციო ბანაკი." საკითხი გაირჩევა კონფერენციის პლენარულ სხდომაზე.

რათ მიემგზავრება მორგანი ლონდონში.

ბერლინი. 23 ივლისი. მორგანმა, რომელიც ხვალ ლონდონში მიემგზავრება, განაცხადა, რომ ის საზღვარ-გარეთ დისასვენებლად მიდის. მაგრამ ნიუ-იორკის გაზეთები აცხადებენ, რომ ის მიემგზავრება ლონდონში გერმანიისათვის სესხის მიცემის პირობების გამოსამუშავებლად და გამოიყენებს თავის ფინანსიურ ძლიერებას შეურიგებელ ფრანგებზე გავლენის მოსახდენათ.

ჩვენ და უცხოეთი

საფრანგეთი.

საყვედურს უცხადებენ ერრიოს.

პარიზი. 22 ივლისი. მემარჯვენე გაზეთები კომენტარიებს უკეთებენ ერრიოს და ჩიჩერინის დეპეშებს და უსაყვედურებენ ერრიოს იმის გამო, რომ „საფრანგეთის პოზიცია მნიშვნელოვნად შესუსტდა საბჭოთა კავშირის მიმართ". ამის გამო „იუმანიტე" აღნიშნავს, რომ საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის გაწყვეტა გამოწვეულია საფრანგეთის მთავრობის მოქმედებით. საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობა მოსპობს იმ დაბრკოლებებს, რომელსაც ადგილი აქვს ორივე ქვეყნის შორის.

რუმინეთის პოლიტიკას გმობენ

პარიზი 22 ივლისი. ამას წინად დაარსებული ფრანგული საზოგადოება „ახალი მეგობრობა" სასტიკად აკრიტიკებს რუმინეთის ანტისაბჭოთა პოლიტიკას ბესარაბიისათვის და აღნიშნავს, რომ ადგილობრივ ხელისუფლების ტერორმა დიდი სიძულვილი გამოიწვია ბესარაბიაში რუმინეთის მიმართ. „ევროპაში წესრიგის აღდგენა, აცხადებს საზოგადოება, დამოკიდებულია აღმოსავლეთ ევროპაში მშვიდობიანობის დამყარებაზე, რაც არ შეიძლება მიღწეულ იქნას საბჭოთა კავშირთან შეთანხმების გარეშე".

ლატვია

საბჭოთა გამოფენა რიგაში

რიგა 22 ივლისი. საბჭოთა გამოფენას რიგაში დიდძალი ხალხი ნახულობს. დიდი მოთხოვნილებაა ფაიფურზე, კონსერვებზე, რეზინის ნაწარმოებზე და სამკურნალო ბალახებზე.

ინგლისი

სავაჭრო ხელშეკრულება შედგენილია

ბერლინი 22 ივლისი. „დეილი ტელეგრაფი"-ს ცნობების თანახმად, შემუშავებულია ინგლის-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების პროექტი, რომელსაც ამ ჟამათ იხილავენ ორივე მთავრობები.

იაპონია

უპირველეს ყოვლისა კონცესიები.

ტოკიო. 22 ივლისი. უკანასკნელი ცნობებით, იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრის იოშიზავას სახალინში გამგზავრებას მიზნათ აქვს გამოარკვიოს საბჭოთა კავშირისაგან სახალინის იჯარით აღების პირობები. ამასთან ერთად საინტერესოა აღინიშნოს, რომ იაპონიის მმართველ წრეებში ამ ჟამად გაცილებით ნაკლებად ლაპარაკობენ ნიკოლაევის ამბების შესახებ და პირველ რიგში აყენებენ არა დაზარალებულ იაპონელთათვის კომპენსაციის მიცემას, არამედ სახალინის კონცესიების საკითხს.

აჯანყება ბრაზილიაში

რომი. 23 ივლ. ბრაზილიის საელჩო რომში აცხადებს, რომ მთავრობის ჯარები განაგრძობენ წარმატებით ბრძოლას რევოლიუციონერების წინააღმდეგ. წამოყვანილია მრავალი ტყვეები, რომელთა შორის არიან რევოლიუციონერთა ჯარების მეთაურები. ამ ჟამათ მთავრობის ჯარები იკავებენ ყველა მთავარ პოზიციებს. მრავალ ადგილებში პოლიცია აპატიმრებს პოზიციებიდან გაქცეულ რევოლიუციონერებს.

პარიზი. 23 ივლისი. ბრაზილიის მთავრობის ოფიციალური ცნობების თანახმად, რევოლიუციონური მოძრაობის ჩაქრობა დამთავრდება ამ დღეებში.

ლონდონი. 23 ივლისი. რეიტერის სააგენტოს ცნობებით, სან-პაბლოსთან მომხდარ ბრძოლაში მოკლული და დაჭრილია 3.000 მოქალაქე. ბუენოს-აირესიდან იტყობინებიან, რომ მთავრობის ჯარები განაგრძობენ ყუმბარების დაშენას სან-პაბლოსათვის. მრავალი ათასი ლტოლვილები თავს აფარებენ ხანტოსს.

რა ხდება გერმანიაში

ნაციონალისტები გერმანიის მთავრობაში.

პარიზი, 22 ივლისი. „კროიც ცეიტუნგი" აბათილებს ხმებს თითქოს ხელახლა დაიწყო მოლაპარაკება ნაციონალისტებთან უკანასკნელების მთავრობაში მონაწილეობის შესახებ.

გადასახადი უცხოელებზე.

პარიზი, 22 ივლისი. გერმანიის მთავრობა იმუშავებს კანონპროექტს გერმანიაში მყოფ უცხოელებზე ახალ გადასახადის გაწერის შესახებ.

რეიხსტაგის კომფრაქციაში მომხდარ გაჩხრეკის გამო.

პარიზი, 22 ივლისი. რეიხსტაგის თავმჯდომარემ უფლება მიანიჭა საიმპერიო სასამართლოს საგამომძიებლო ხელისუფლებას კონფისკაციით მოართვას რეიხსტაგის კომფრაქციის ბინაზე აღმოჩენილი ყველა დოკუმენტები.

ისევ სტინესი.

ნაუენი. 22 ივლისი. გარდაცვლილ სტინესის შვილი ამ ჟამათ საქმიან მოლაპარაკებას აწარმოებს ამერიკის კონსულთან მიუნხენში. როგორც იტყობინებიან, სტინესს განზრახვა აქვს ბავარიაში გახსნას თავისი წარმოებების 40 ახალი განყოფილება.

სამრეწველო კრიზისი.

ბერლინი, 22 ივლისი. მთელ რიგ წარმოებების დახურვამ და მრავალ ფაბრიკებში არა სრულ სამუშაო კვირის შემოღებამ მეტათ არახელსაყრელი პირობები შექმნა მუშების ეკონომიური ბრძოლის განვითარებისათვის. უკანასკნელ დღეებში ადგილი ჰქონდა მუშებსა და მწარმოებლებს შორის დაწყებულ კონფლიქტების კომპრომისის გზით გადაწყვეტას; ასე მაგალითად, კენისბერგის რაიონში, დამთავრდა საალმშენებლო მუშების გაფიცვა, რომელიც რამოდენიმე კვირა გრძელდებოდა; საქსონიაში დამთავრდა ხის დამმუშავებელთა გაფიცვა. ორივე შემთხვევაში მუშები დათანხმდენ იმ პირობებზე, რომლებიც შეიმუშავა სამედიატორო სასამართლომ; ეს პირობები წინეთ მიუღებლათ მიაჩნდათ მუშებს.

მდგომარეობა ინდოეთში

„მუშათა" მთავრობა განაგრძობს ტერორს

ლონდონი 22 ივლისი. ლორდთა პალატაში, კამათის დროს ინდოეთის მდგომარეობის შესახებ, ინდოეთის საქმეთა მინისტრმა ოლივერმა, რომელიც შეეხო ინდოეთის და ბენგალიის ცენტრალურ პროვინციების მდგომარეობას, სადაც ადგილობრივმა საკანონმდებლო საბჭოებმა უარი განაცხადეს ხმა მიეცათ ზოგიერთ კრედიტებისათვის, განაცხადა, რომ მთავრობას განზრახვა აქვს ხელახლა შემოიღოს იმ პროვინციებში კანონი, რომელიც უზრუნველყოფს მინისტრების და ადმინისტრაციის შენახვას. პენჯაბში მთავრობა დაიცავს წესრიგს და უშიშროებას იმ კანონის მტკიცეთ გატარებით ცხოვრებაში, რომელიც მიმართულია ყველა მის დამრღვევთა წინააღმდეგ, მაგრამ ამასთანავე მიიღებს ზომებს ყველა სადაო საკითხების საჩქაროთ გადასაწყვეტათ. ოლივერი ამტკიცებდა, რომ ინდოეთის ეხლანდელი კონსტიტუცია კარგი გამოდგა და ის უარყოფდა იმას, თითქოს ინგლისის მთავრობის პოლიტიკა ინდოეთში ჩიხში მოექცა.

თეთრგვარდიელების თავგასულობა

პეკინი. 22 ივლისი. ჩინეთის ხელისუფლების დაუდევრობის გამო და უცხოელ კონსულთა დახმარებით, რუსეთის თეთრგვარდიელები შანხაიში ბატონათ გრძნობენ თავს და ათასგვარ უწესოებას სჩადიან. „რუსების უფლებების და ინტერესების დამცველმა კომიტეტმა" შანხაიში დიპლომატიური კორპუსის უხუცესს—ამერიკის კონსულს გენერალ კონინგემს გადასცა პროტესტი ჩინეთის ხელისუფლების მიერ საბჭოთა მთავრობისათვის რუსეთის საელჩოს შენობის გადაცემის წინააღმდეგ. ამას გარდა თეთრგვარდიელები მოითხოვდენ, რომ შენობა გადაცემოდა კომიტეტს, თუმცა შენობას განაგებს ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო.

ამ დღეებში თეთრგვარდიელების ერთი ჯგუფი თავს დაესხა მხატვარ კრასიცკის სტუდიას; კრასიცკი საბჭოთა წარმომადგენლობის შეკვეთით ხატავდა საბჭოთა კავშირის ღერბს. თეთრგვარდიელებმა სცემეს მას, ჩაჰკეტეს ის ცალკე ოთახში და ნაწილობრივ გაანადგურეს მისი ნამუშევარი. კრასიცკიმ საჩივარით მიმართა საფრანგეთის პოლიციას, რადგან თავდასხმა მოხდა საფრანგეთის კონცესიის ტერიტორიაზე.

მაგრამ პოლიციის უფროსის მოადგილემ—რუსმა თეთრგვარდიელმა—განუცხადა კრასიცკის, რომ ის იოლათ გადარჩენილა. თეთრგვარდიელები ქუჩაზე უყარაულებენ საბჭოთა მისიაში მიმავალ რუსებს და საშინლათ სცემენ მათ. განზრახვა აქვთ თავდასხმა მოაწყონ საბჭოთა მისიის ზოგიერთ წევრებზე. უწესოებას უმთავრესათ სჩადიან გენერალ გლებოვის თეთრგვარდიელები, რომლებიც დაბინავებული არიან შანხაიში.

იაპონია და ამერიკა

ტოკიო. 22 ივლ. მიუხედავად საყოველთაო აღშფოთებისა, რომელიც გამოიწვია იაპონიაში ამერიკის კანონმა იმიგრაციის შესახებ, პრემიერი კატო მაინც სცდილობს მეგობრული ურთიერთობა იქონიოს ამერიკის კაპიტალთან. ამ მხრივ აღსანიშნავია პრემიერის განცხადება პარლამენტში იმის შესახებ, რომ მას არ მიაჩნია კანონი შეურაცმყოფელად იაპონიისათვის. კატო ფიქრობს მიაღწიოს ზოგიერთ დათმობებს ამერიკის მხრივ ახალ პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ. ამერიკასთან შესარიგებლად კატო სცდილობს შეათანხმოს თავისი პოლიტიკა საბჭოთა კავშირისადმი იუზის პოლიტიკასთან. ამერიკელი გაზეთი „ჯორნალ ედვერტეიზერი", რომელიც ტოკიოში გამოდის, ათავსებს ამის გამო წერილს, რომელიც იწონებს კატოს პოლიტიკას. „ეს პოლიტიკა, ამბობს გაზეთი, მიმართულია ამერიკასთან მეგობრულ ურთიერთობის აღდგენისაკენ. და ეს ხდება სწორედ მაშინ, როდესაც იაპონიის ელჩი ჩინეთში იოშიზავა, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა კარახანთან, გაწვეულია უკან პეკინიდან". მთავრობის წრეების ცნობით, შესაძლებელია, რომ ახლო მომავალში კაბინეტი შეუდგება „რუსეთის საკითხის" განხილვას.

სხვადასხვა ამბები

— **გრენლანდიის საკითხი.** ნორვეგიის პარლამენტმა დაამტკიცა შეთანხმება კუნძულ გრენლანდიის შესახებ.

— **მაკ ლორენი განაგრძობს მოგზაურობას.** ინგლისელი მაკ-ლორენი, რომელიც გზაში უბედური შემთხვევის გამო იძულებული იყო უდაბურ კუნძულზე დაშვებულიყო, განაგრძობს მოგზაურობას დედამიწის გარშემო.

— **მოსხულის საკითხი.** ინგლისის თემთა პალატაში გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა პონსონბიმ განაცხადა, რომ მოსსულის საკითხი ერთა ლიგის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაეცემაო.

— **ზაგლულ-ფაშა.** ეგვიპტის პრემიერი ზაგლილ-ფაშა ლონდონს მიემგზავრება.

— **რატომ გადადგა საბერძნეთის მთავრობა.** სამხედრო ნაწილებმა სოლონიკში დაარბიეს ოპოზიციონური გაზეთის ორგანო. ამის გამო პარლამენტში შეკითხვა შეიტანეს და პაპანასტიასუს მთავრობა იძულებული იყო გადამდგარიყო.

— **ტერორი სამხრეთ-სლავიაში.** სამხრეთ-სლავიის მთავრობამ ელოვენიაში ორასზე მეტი კაცი დააპატიმრა დამოუკიდებელი მუშათა პარტიისადმი თანაგრძნობისათვის.

— **ცანკოვი თავს იქებს.** ბულგარეთის პრემიერმა ცანკოვმა განაცხადა, რომ დამოკიდებულება მეზობელ სახელმწიფოებთან გაუმჯობესდა, რადგან მათ „ღირსეულათ დააფასეს ბულგარეთის მთავრობის მიერ ბოლშევიკური საშიშროების ლიკვიდაცია"-ო.

— **რუმინეთი და ამერიკა.** ნავთის საკითხის შესახებ მომხდარი უთანხმოების გამო, ამერიკის ელჩმა ბუქარესტში წინადადება მისცა რუმინეთის პრემიერს შეატყობინოს ამერიკის მთავრობას აპირებს თუ არა რუმინეთი თავისი პოლიტიკის შეცვლას ამ საკითხში.

— **მთავრობის კრიზისი სერბიაში.** სერბიის (სამხრეთ-სლავიის) მეფემ წინადადება მისცა პარლამენტის თავმჯდომარეს იოვანოვიჩს, შეადგინოს კაბინეტი. იოვანოვიჩი მოლაპარაკებას აწარმოებს დემოკრატებთან და კლერიკალებთან.

— **რუსეთის რევოლიუციის სასარგებლოდ აგიტაციისათვის.** ბარსელონაში (ესპანეთი) დააპატიმრეს ყოველკვირეული კომუნისტური ჟურნალის რედაქტორი და ორი თანამშრომელი.

კომინტერნის კონგრესის შემდეგ

გერმანიის კომპარტიის ც. კ. პლენუმი.

ბერლინი. 22 ივლისი. რუტ ფიშერის მოხსენების შემდეგ გერმანიის კომპარტიის ცეკამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც იწონებს კომინტერნის მე-5 კონგრესის გადაწყვეტილებებს, და აგრეთვე გერმანიის დელეგაციის პოზიციას კონგრესზე. შემდეგ ერთხმად მიღებული იქნა რეზოლიუცია პროფკავშირების შესახებ, რომელიც მოითხოვს მუშაობის გაძლიერებას პროფკავშირებში და კამპანიის წარმოებას საერთაშორისო მთლიანობის სასარგებლოდ.

მკაცრი დისციპლინის პარტია.

პარიზი. 22 ივლისი. აქვეყნებს რა კომინტერნის აღმასკომის გადაწყვეტილებას სუვარინის საქმის შესახებ, საფრანგეთის კომპარტიის სამდივნო ხაზს უსვამს იმას, რომ სუვარინის გამორიცხვა პარტიიდან ამტკიცებს, რომ კომპარტიები ერთნაირად ეპყრობიან ყველა თავის წევრებს. სამდივნო აცხადებს: „კომპარტიამ უნდა უზრუნველყოს თავის რიგებში მკაცრი დისციპლინა, რომლის გარეშე შეუძლებელია პროლეტარიატის დიქტატურის დაჩქარებით განხორციელება".

კომუნისტური ახალგაზრდობის ინტერნაციონალის კონგრესი

21 ივლისის სხდომა

მოსკოვი. 23 ივლისი. სხდომაზე მოსმენილ იქნა **დორიოს** მოხსენება პროფკავშირებში ფრანგ ახალგაზრდა კომკავშირელების მუშაობის შესახებ. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მუშათა ახალგაზრდობა იბრძოდა მუშებთან ერთად. რუანში ფეიქართა და სენეტიენში მელითონეთა გაფიცვის დროს კომკავშირმა მოაწყო ახალგაზრდობის დამოუკიდებელი გაფიცვა. მრავალი ახკომკავშირელები, რომლებიც ამ გაფიცვას ხელმძღვანელობდენ დღემდის ციხეებში იტანჯებიან.

დორიოს სიტყვის შემდეგ, ვიატკის ახკომკავშირის ორგანიზაციამ გადასცა დროშა ჰამბურგის კომკავშირს.

შემდეგ რუსეთის კომკავშირის პრაქტიკულ მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. **როგოვი**, რომელიც აღნიშნავს, რომ რუს. ახკომკავშირის მთავარ ამოცანად დღევანდელ მომენტში ითვლება—უფრო მჭიდროთ დააკავშირონ ფაბრიკა-ქარხნების იაჩეიკების მუშაობა მასებთან. მომხსენებელი აგრეთვე ხაზს უსვამს ახკომკავშირის მუშაობას გლეხთა ახალგაზრდობის შორის.

22 ივლისის სხდომა

კონგრესმა მოისმინა ამხ. **მიხალეცის** მოხსენება ანტიმილიტარისტულ პროპაგანდის შესახებ. ამ სხდომაზე ქარხანა „კრასნაია ზვეზდა"-ს იაჩეიკამ გადასცა დროშა საფრანგეთის ახკომკავშირს.

მელითონეთა საერთაშორისო კონფერენცია

მოსკოვი. 23 ივლ. შეიკრიბა რევოლიუციონურ მელითონეთა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მოიწვია პროპაგანდის საერთაშორისო კომიტეტმა. დაესწრენ საბჭოთა კავშირის, ინგლისის, ამერიკის, საფრანგეთის, გერმანიის, ბელგიის, იტალიის, ესპანეთის, ირლანდიის, ავსტრიის და შვეციის დელეგატები. პროპაგანდის საერთაშორისო კომიტეტის მოხსენებიდან სჩანს, რომ კომიტეტის მუშაობა გამოიხატა 8 საათის სამუშაო დღისა და ერთიანი ფრონტისათვის ბრძოლაში. კომიტეტი ანგარიშს უწევდა მუშათა მასების ყოველგვარ გამოსვლებს და სცდილობდა განემტკიცებია ინტერნაციონალური სოლიდარობა პრაქტიკულ მუშაობაში. კომიტეტის ყველა სექციები სცდილობდენ პრაქტიკულად განეხორციელებიათ ერთიანი რევოლიუციონური ფრონტი, მაგრამ ამას საბოტაჟი გამოუცხადეს რეფორმისტებმა. კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლიუციები იწონებენ პროპაგანდის საერთაშორისო კომიტეტის მოქმედებას და ითვალისწინებენ შემდეგი მუშაობის პრაქტიკულ ამოცანებს.

პროფინტერნის მესამე კონგრესი

ამხ. ტომსკის მოხსენება

მოსკოვი. 22 ივლისი. პროფინტერნის კონგრესის 19 ივლისის სხდომაზე თანამომხსენებელი ტომსკი სავსებით მხარს უჭერდა ერთიანი ფრონტის ტაქტიკას.

ტომსკი ამბობს: „დღეს ამას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ოდესმე. მუშათა მოძრაობა გადადის ახალ გადამწყვეტ ფაზაში. მუშათა კლასი არ შეურიგდება კაპიტალის გააფთრებულ შეტევას. ამისათვის საჭიროა ძალების კონცენტრაცია, პირობები განსაკუთრებით ხელსაყრელია, რამდენადაც ამსტერდამის ინტერნაციონალში შემჩნეულია გადაჯგუფება, ამავე დროს სწარმოებს პროლეტარიატის საერთაშორისო საწარმოო ძალთა შემჭიდროება და გაერთიანება, პროლეტარიატის წარმომადგენლები შეყვანილი არიან ამსტერდამის ინტერნაციონალში. ეს გადაჯგუფება უნდა იქნას გამოყენებული, ჩვენ უნდა გაუწოდოთ ხელი მტრებს და უთხრათ: „ჩვენ ძლიერი ვართ და მომავალი ჩვენია; მაგრამ რამდენადაც თქვენ გყავთ მილიონი მუშები, წინადადებას გაძლევთ, თუ გსურთ სინდისიერად იბრძოლოთ კაპიტალის წინააღმდეგ, გაერთიანდით ერთიან ინტერნაციონალში".

ჩვენ არც ერთი წუთითაც არ ვიტყვით უარს ყოველგვარ კლასიურ ღალატის გამომჟღავნებაზე.

მაგრამ მრავალი ბრძოლის ამოცანები მოითხოვს მუშათა კლასის მთლიანობას; ეს უნდა მოხდეს უწინარეს ყოვლისა ქვევიდან.

ტომსკი ჰკიცხავს ობივატელურ გალაშქრებას ამსტერდამელებთან გაერთიანების წინააღმდეგ და დაუშვებლად მიაჩნია „კავშირებიდან გასვლა".

„კავშირებიდან გასვლა არ [illegible]ლიბა, ჩვენი დევიზი იყო ყოველთვის: სადაც 4 მუშაა, იქ მეხუთეც ბოლშევიკი უნდა იყოს. ეხლა ჩვენ მიგვაქვს ახალი იერიში ამსტერდამის სიმაგრის წინააღმდეგ. წინად ჩვენ უშენდით მას შორიდან, ეხლა კი დადგა იერიშის მიტანის დრო. ერთიანი ინტერნაციონალის ლოზუნგი ფართო გამოხმაურებას ჰპოვებს მასებში, კერძოდ ინგლისში. ინგლისში გატარებულმა ორმა თვემ სავსებით დამარწმუნა მე ამაში. პროფინტერნი უნდა შეუდგეს მესამე მნიშვნელოვან ამოცანის შესრულებას—მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელობას. ეს შეიძლება მიღწეულ იქნას მოძრაობის მთლიანობის საშუალებით.

საკითხი ერთიან ინტერნაციონალის შესახებ უნდა გადაწყდეს დადებითად და ყოველგვარი მერყეობის გარეშე".

მომხსენებელი დარწმუნებულია, რომ ეს საკითხი არავითარ აზრთა სხვადასხვაობას არ გამოიწვევს კონგრესზე. ბოლოს ტომსკი ხაზს უსვამს, რომ განზრახული ნაბიჯი არის არა საგიტაციო-საპროპაგანდო მანევრი, არამედ პრაქტიკული პრობლემა. „მიგვაქვს იერიში, ამბობს ის, რათა საბოლოოდ გადავჭრათ საკითხი, ვის ხელში უნდა იყოს მსოფლიოს მოძრაობის ხელმძღვანელობა—რეფორმისტების—ოპორტიუნისტების, თუ მუშათა კლასის ნამდვილ რევოლიუციონურ ფრთის ხელში".

საკითხი საბოლოო გადასაწყვეტად გადაეცა კომისიას.

22 ივლისის სხდომა

მოსკოვი 23 ივლისი. სხდომაზე მოსმენილ იქნა კომისიების მოხსენებები და მიღებულ იქნა რეზოლიუციები საორგანიზაციო საკითხის შესახებ. კონგრესი იზიარებს რა მეორე კონგრესის მთავარ პრინციპებს, აყენებს თანამედროვე რევოლიუციონურ პროფმოძრაობის წინაშე შემდეგ ამოცანებს: მასების გამოსვლა, რევოლიუციონურ საწარმოვო კავშირების შექმნა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების საფუძვლებზე, უმუშევრების დარაზმვა, რევოლიუციონურ კავშირების მჭიდრო კავშირი კომუნისტურ პარტიებთან, მუშათა მასების მომზადება გადამწყვეტ ბრძოლისათვის საერთაშორისო კაპიტალის წინააღმდეგ.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია რეზოლიუცია საგაფიცვო სტრატეგიის შესახებ, რომელიც პირველად იყო დასმული საერთაშორისო მუშათა კონგრესის დღის წესრიგში. რეზოლიუცია ავალებს პროფინტერნის შემადგენლობაში შემავალ ორგანიზაციებს, აღმასრულებელ ბიუროს ხელმძღვანელობით, მიიღონ ზომები საგაფიცვო ბრძოლის გამოცდილების შესასწავლად. ყრილობა მოუწოდებს ყველა რევოლიუციონურ კავშირებს სერიოზულად მოეპყრან ამ საკითხს, ვინაიდან საგაფიცვო მოძრაობის გამოცდილების შეუსწავლელად და ყველა ძალების კონცენტრაციის გარეშე რევოლიუციონური პროლეტარიატი ვერ დაამარცხებს თანამედროვე ბურჟუაზიულ სახელმწიფოს ძლიერებაზე დამყარებულ კაპიტალს.

რეზოლიუცია პროპაგანდის საერთაშორისო კომიტეტების მოქმედების შესახებ ხაზს უსვამს ამ ორგანიზაციების მნიშვნელობას მსოფლიო პროფმოძრაობის მთლიანობისათვის ბრძოლაში.

რეზოლიუცია აგრარულ საკითხზე ხაზს უსვამს სასოფლო-სამეურნეო მუშათა შორის საორგანიზაციო მუშაობას მნიშვნელობას და აგრეთვე აღნიშნავს, რომ საჭიროა გლეხობას შორის რევოლიუციონური მუშაობა და კონტაქტის დამყარება გლეხთა საერთაშორისო საბჭოსთან. ყველა რეზოლიუციების მიღების შემდეგ კონგრესი ირჩევს აღმასრულებელ ბიუროს, ამხ. ლოზოვსკის, მელნიჩანსკის, ლეპსეს და დოგადოვის შემადგენლობით.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

შეღავათი ავადმყოფ მუშებს

მოსკოვი 22 ივლისი. იმ მიზნით რომ მუშებს და მოსამსახურეებს გაუადვილდეს კურორტებზე გამგზავრება, მთავარმა საკურორტო სამმართველომ საჭიროთ დაინახა გაგრძელებული იქნეს ექიმობის ღირებულების გადახდის ვადა 6 თვემდი; ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილათ, რისთვისაც საჭიროა წარმოებების და დაწესებულებების თავდებობა. კრედიტი შემოღებულია იმ ავადმყოფთათვისაც, რომლებიც საზამთრო კურორტებით სარგებლობენ.

რკინისგზელთა კონფერენცია.

მოსკოვი, 22 ივლ. რკინისგზელთა პროფკავშ. ცეკამ დაადგინა ენკენისთვის მეორე ნახევარში მოიწვიოს საბჭოთა კავშირის ყველა რკინისგზელთა კონფერენცია, რომელზედაც განხილული იქნება სატარიფო—ეკონომიური საკითხები; ამას გარდა კონფერენციაზე არჩეული იქნება, რკინისგზელთა სრულიად საკავშირო ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატები.

ტრედუნიონების მოწვევა საბჭოთა კავშირში.

მოსკოვი. 21 ივლისი. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ წინადადება მისცა ინგლისის ტრედუნიონების საბჭოს სწორ და მუდმივ კავშირის დაწესების მიზნით ინახულოს საბჭოთა კავშირი. თუ გერმანული საბჭო, ნათქვამია დეპეშაში, დელეგაციის შემადგენლობაში ჩარიცხავს დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ოფიციალურ წარმომადგენლებს, მაშინ სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო სათანადო სტუმართმოყვარეობას გაუწევს, როგორც დელეგაციას, ის მის ცალკე წევრებს.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბაიჯანი.

ილიჩის სახელობის სამრეწველოებში.

ბაქო. 22 ივლისი. ილიჩის სახელობის სამრეწველოების შადრევანთა მდგომარეობა 18—19 ივლისს შემდეგი იყო: შადრევანი № 23 განუწყვეტლივ მოქმედებს. ამოღება დღე და ღამეში უდრის 50—60,000 ფუთ ნავთს. შადრევანი № 27 18 ივლისს არ მოქმედებდა, საღამოს 7 საათზე დაიწყო გაზის დენა და ამას მოჰყვა ნავთის ამოხეთქა. 11 საათის განმავლობაში ამოღებული იყო 50,000 ფუთი. სულ ამოღებულია 150,000 ფუთი. შადრევანი № 2 ისვრიდა ნავთს 80 საჟენის სიმაღლეზე.

ბოროტ-მოქმედება თამბაქოს ტრესტში.

ბაქო. 22 ივლისი. საბჭოთა აზერბეიჯანის მუშათა და გლეხთა სახ. კომისარიატის რევიზიამ აღმოაჩინა ბოროტმოქმედებანი თამბაქოს ტრესტში. რევიზიის შედეგები ასეთია: თამბაქო აღმოჩნდა 10 პროც.-ით ნაკლები, ზედმეტი დახარჯულია უვარგის თამბაქოში 17.158 მან. თამბაქო ეძლეოდათ ისეთ პირებს, რომელთაც არაფერი საერთო არ ჰქონდათ თამბაქოს ტრესტთან. აზერბეიჯანის თამბაქოს ტრესტის უფროსი ყარამანოვი და მისი მოადგილე მირზაბეკიანი მიცემული არიან პასუხისგებაში.

სომხეთი

1 საფეიქრო ფაბრიკის საძირკველის ჩაყრა სომხეთში.

ერევანი. 22 ივლისი. ლენინაკანში გუშინ ზეიმით ჩაუყარეს საძირკველი პირველ საფეიქრო ფაბრიკას. ზეიმს დაესწრენ მთელი რიგი პასუხისმგებელი ამხანაგები თბილისიდან და ერევანიდან და აგრეთვე პროფესიონალურ, პარტიულ და რკინის გზის ორგანიზაციების წარმომადგენლები. თავი მოიყარეს აგრეთვე მახლობელ სოფლების გლეხებმაც წარმოთქმულ სიტყვებში ორატორები ხაზს უსვამდენ ფაბრიკის ეკონომიურ მნიშვნელობას და საბჭოთა მთავრობის გამარჯვებას. მცხოვრებლები არაჩვეულებრივი ენტუზიაზმით და „ვაშას" ძახილით შეხვდენ ფაბრიკის საძირკველის ჩაყრას. ფაბრიკა დაიწყებს მოქმედებას ორი თვის შემდეგ.

სასოფლო-მეურნეობის აღორძინება.

ერევანი. 24 ივლ. მთელი წლის განმავლობაში კოტაის უბანში აღდგენილ იქნა წყალსადენი. მახლობელ სოფლებში აშენებენ 6 სასკოლო შენობას. გაწმენდილია არხი 110 ვერსის მანძილზე. მუშაობაში მონაწილეობას იღებდა 5.909 მუშა და 182 ურემი. უკანასკნელ ხანებში ამ უბანში გაჩნდენ მინდვრის თაგვები, რომელიც დიდ ზიანს აყენებენ მოსავალს.

პარტიული ცხოვრებ

ომის ათი წლის თავზე

ამხანაგების გაწვევა კამპანიის ჩასატარებლად

ლენინის რაიონი. 1. [illegible], 2. მიასნიკოვი, 3. სემკოვი, [illegible] საბედაშვილი, 5. მათიკაშვილი, 6. [illegible] ნიაშვილი.

ავლაბარ-ხარფუხის რაიონი. 1. კასიანი, 2. გუსეინოვი, 3. კოსტანიანი, 4. ყურულოვი, 5. ხანოიანი, 6. ოკუჯავა, 7. ვარძიელი, 8. მეძმარიაშვილი.

არსენალის რაიონი. 1. მახარაძე ფ. 2. ელიავა შ. 3. ნაზარეთიანი, 4. რუპენი, 5. რუხაძე მ., 6. მამულაიშვილი, 7. კევორკიანი.

ქალაქის რაიკომი. 1. კახიანი, 2. ტალახაძე, 3. ივანიანი, 4. გენკინი, 5. [illegible], 6. წულუკიძე მ., [illegible] ხაჩკევიჩი.

[illegible] ამხანაგები სათანადო რაიკომების განყ [illegible] ბაში 3 დღის განმავლობაში, და 31 ივლისს.

მობილიზაციით გაწვეულ გები ვალდებულნი არიან მოელაპარაკონ რაიკომების სა პროპაგ. განყოფილებას გა ადგილს და დროს შესახებ.

თბ. კომიტ. მდივანი რუ

თბილ. კომიტეტ. სააგიტ განყოფ. გამგე—ელისაბედაშ

უჯრედების მუშაობა სამტრედიის რაიონში

შაბათს, 19 ივლისს სამტრედიაში პარტიული კლუბის დარბაზში შესდგა რაიპარტკომის გაფართოებული პლენუმის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ რაიპარტკომის ყველა წევრები, რაიონის კომუჯრედის ბიუროები და მდივნები. ცენტრიდან ამხ. ლ. ლოლომბერიძე, მაზრკომიდან ამხ. პ. ტყაბლაძე, დ. ლორთქიფანიძე და საპრომ. საავ. განყოფილების გამგე ამხ. ავქ. პაპავა. პლენუმი გახსნა რაიპარტკომის პასუხისმგებელ მდივანმა ამხ. ლ. გაგნიძემ; დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1. მოხსენებები უჯრედის მდივნებისა მათი მუშაობის შესახებ; 2. რაიკომის მოხსენება; 3. მოხსენება საჰაერო ფლოტის და ქიმიურ საზოგადოებათა შესახებ; 4. მიმდინარე საკითხები.

სანამ დღის წესრიგის განხილვას შეუდგებოდენ. სიტყვა აიღო სამაზრო კომიტეტის მდივანმა ამხ. ტყაბლაძემ და მოკლეთ გააცნო პლენუმს ის მიზანი, რომელიც აქვს დასახული დღევანდელ სხდომას. გამოკვლევა უჯრედის მთელი ცხოვრებისა. აღნიშვნა მისი ყველა ნაკლისა, რაც უშლის ხელს ჩვენი უჯრედების მუშაობას, მითითება მასზე, თუ რით და რა საშუალებით შეიძლება გამოჯანსაღება პარტიულ მუშაობისა ადგილებზე.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ თემების უჯრედები ხშირათ უფრო მეტ ყურადღებას აქცევდენ აღმშენებლობის საკითხებს და სრულებით ან და ძლიერ ცოტა ყურადღებას აქცევდენ პარტიულ-აღზრდელობითი მუშაობას, ხშირათ უკარნახებდნენ და ერეოდენ საბჭოს საქმეებში, რაც დაუშვებელია. შეკითხვების შემდეგ ეს ნათლათ გამოირკვა. შემდეგ გაიხსნა კამათი. ამხ. აქვს. პაპავამ დაახასიათა, თუ რას უნდა წარმოადგენდეს ჩვენი როგორც სატრანსპორტო, ისე თემების უჯრედები, რას უნდა აკითხებდენ ისინი. უფრო მეტ ყურადღებას უნდა აქცევდენ რასაკვირველია პარტ-მუშაობას; ამ მხრივ ძლიერ მოიკოჭლებენ ჩვენი უჯრედები.

მე-13 პარტ-ყრილობის დადგენილების თანახმად ფრთხილათ უნდა იყვენ ჩვენი უჯრედები. რომ არ ჩაკლან უპარტიო მასის აქტივობა ჩვენი კარნახით, არამედ ფართეთ უნდა ჩავითრიოთ მასები ყოველგვარ აღმშენებლობის საქმეებში და გავაჩაღოთ სოფლათ მუშაობა. როგორც ირკვა, ეს დღემდის ასე არ არ ყოფილა აგრეთვე მე საქმე დაყენებული უჯრედებ არ მიგვეტევება, ამისთვის აწი მაინც გამოვიჯანსაღოთ წავაწიოთ მუშაობა.

პირველათ მოხსენებას აკ ლაქის კომუჯრედის მდივან ჩიტია. მისი მოხსენებიდან რომ უჯრედს ყოლია ბიურ მთელ 6 თვის განმავლობაში მოუწვევია არც ერთი კრებ გაერჩიათ ესა თუ ის საკითხ სწორ და შემდეგ გამოე ბაზე. ამას გარდა მა ციატივით არ ჩაუტარებია თარი კამპანია, არც ლია ყოფილა მოწვეული; კრებები სისტემატიურათ, რომელსაც მძღვანელობდა მხოლოდ რაი არა ბიურო. საწევრო გად თავ-თავის დროზე შემოსულ

არა უკეთეს სურათს გვ კონდუქტორების, ცეტმოხ, ეწერიანეთის და კულაშის რომელთა მოხსენებიდან სჩანს, რომ მიმაგრებული ამხ ლებით არ დადიან თემებში უწევდენ არავითარ იდეურ ბას და თუ ზოგი დადის, მიერ ნამუშევარი სჩანს. შ კარგს მდგომარეობაში ყოფ მოჩინებულის უჯრედი, რ უშუალოთ არის დაკავშირებუ ტრთან და მოხსენებიდან რომ იქ მუშაობა გამოცოცხლ ამხ. ჩაბმული არიან პარტ- ბლობის მუშაობაში და სხვ ვე სურათს იძლევა დიდი უჯრედი. კრებაზე ამხანაგები მო ხოვდენ უჯრედის მდივნებს ხალისებას.

რაიკომის მდივანმა გაგნიძე კეთა მოკლე მოხსენება რაი მუშაობის შესახებ. ბოლოს ამ ბლაძემ წარმოადგინა რეზ პარტმუშაობის შესახებ, კრებამ მიიღო და გ ცეთ გაატაროს ის ცხოვრებაში.

ქიმიური საზოგადოების და ჰაერო ფლოტის შესახებ მო გააკეთა ამხ. ტყაბლაძემ, რომ გააცნო ამ საზოგადოებას მიზ ამოცანები და მოუწოდებს ამხან ხელი შეუწყონ მათ მუშაობა ჩაეწერონ მათში წევრებათ.

ხან—ძ

ამბროლაური (რაჭა)

30 ივნისს მოხდა ამბროლაურის რაიონის კომუჯრედების გაერთიანებული კრება, რომელზედაც დაესწრენ სამაზრო კომიტეტის წარმომადგენლებიც. კრება, გახსნა ამბროლაურის რაიპარტკომის პასუხისმგებელმა მდივანმა. დღის წესრიგში იდგა საკითხები

1) საერთაშორისო მდგომარეობა.

2) მე-13 პარტყრილობის, ამიერკავკასიის და საქართველოს კომპარტიის ყრილობების შედეგები.

3) მოხსენება ადგილებიდან (კომუჯრედების ანგარიში).

4) საბჭოთა აღმშენებლობა, გლეხთა ურთიერთ კომიტეტი, კოოპერაცია და სხვა საკითხები.

პირველ ორ საკითხზე შინაარსიანი მოხსენებით გამოვიდა სამაზრო პარტკომი მდივანი თადეოზ სა რომელმაც ვრცლათ გააშუქა ვანდელი საერთაშორისო მდგომ ბა და მასთან გააცნო კრება მ ყრილობის, ამიერ-კავკასიის და ქართველოს პარტყრილობის ობას და მათი შედეგებს, რასაც დის ყურადღებით და აღტ ისმენდა კრება.

მომხსენებელს მისცეს ბევრ კითხვები, რომელზედაც მან და ყოფილებელი პასუხი გასცა. დასას გამოტანილი იქნა შესაფერი რ ლიუცია.

კომუჯრედების მდივნებმა თეს მოხსენება ადგილებიდან, მლიდანაც გამოირკვა უჯრედ მუშაობა.

ა. გ—

პროფკავშირებში

გაზ. „მუშა"-ს მე-500-ე ნომრის გ მოსვლის გამო

ცირკულიარი

ყველა კავშირების ცენტრალურ გამგეობებს, პროფსაბჭოებს და ს ზრო პროფბიუროებს.

პატივცემულო ამხანაგებო!

კვირას, ივლისის 27 გამოდის გაზეთ „მუშა"-ს მე-500 ნუმერი. პროფკავშირთა საბჭოს დადგენილებით, ეს ნუმერი იქნება საიუბილეო. არ არის დიდი ხანი, რაც გაზეთი „მუშა" გამოდის, მაგრამ ამ მცირე ხნის განმავლობაში მან საკმაო სიყვარული და თანაგრძნობა დაიმსახურა მუშების ფართო წრეებში.

„მუშა"-მ მიაღწია მთავარ მიზანს: იგი მასიურ გაზეთად გარდაიქცა. მან აამოძრავა მუშის კალამი და მისი აზრი თავის ფურცლებზე გადმოიტანა.

გაზეთი „მუშა" სულ ცოტა ხნის განმავლობაში გახდა მუშათა ცხოვრების სწორად გამომხატველი სარკე: ყოველი მოვლენა შემჩნეული მუშათა ცხოვრებაში ჰპოვებს თავის ადგილს ამ მუშურ გაზეთის ფურცლებზე.

„მუშა" თავდადებით ეხმარება აგრეთვე პროფკავშირებს სხვადასხვა საყურადღებო პროფესიონალურ საკითხების და მთელი პროფესიონალურ ცხოვრების გაშუქებაში.

500 ნომრის გამოსვლა იმის უტყუარი თავდებია, რომ გაზ. „მუშა"-ს მტკიცე ნიადაგი აქვს მოპოვ ქართველ მუშებს შორის.

ცენტრალურ გამგეობებს, პრ საბჭოებს და დაბალ საკავშირო რედებს ევალებათ მიიღონ ცხო მონაწილეობა ქართველ მუშათა მრაზმველ გაზეთის—„მუშა"-ს სა ლეო ნომერში შესაფერი წერი და მილოცვების მოთავსებით.

ეს დღე შესაფერად უნდა გამოყენებული და ყველა პროფ ნიზაციებმა, დაწყებული მაღალ ნოებიდან და გათავებული ადგი ბითა და ფაბ-საქარხნო კომიტ ბით, უნდა ჩაატარონ კამპანია „მუშა"-ს გავრცელებისა და ხელის მოწერის სასარგებლოდ.

წინადადება ეძლევათ ცენტრა ორგანიზაციებს მისცენ იუბილეს ური ხასიათი და ყოველმხრივ შე ხელი გაზეთ—„მუშა"-ს გამ ურყევ ნიადაგზე დაყენებას.

საქართველოს პროფკავშირთა
ჰოს მდივანი ყურულაშვილ
ს. პ. ქ. ს. კულტგანყოფ
გამგის მაგ. მხითარ
მდივანი შ. აფხაძ

ა.-კ. რკინისგზელთა კავშირის პლენუმი

მეორე დღე

დილის სხდომა

ა.-კ. რკინისგზების მდგომარეობა

(ამხ. პოზდეევის მოხსენება).

რკინის გზის ტეხნიკური მდგომარეობა.

ამხ. პოზდეევის მოხსენების უდიდესი ნაწილი შეეხება რკინის გზის ტეხნიკურ მდგომარეობას. პირველი საკითხი, რომელიც გზათა სამმართველოს მთავარ საზრუნავ საგანს წარმოადგენს, შპალების საკითხია. დიდი ხანია ლიანდაგი გამოუცვლელია, რადგან ძნელი იყო ერთბაშად ლიანდაგის გამოცვლა. 1.300.000 შპალი უვარგისია. აქედან სამმართველომ შესძლო გამოეცვალა 420.000 შპალი რამოდენიმე ხნის განმავლობაში სამმართველოს საშუალება ექნება გამოსცვალოს დანარჩენი უვარგისი შპალები.

გარდა ამისა მთელს გზაზე საჭიროა გამოიცვალოს 14000 რკინის ძელი. გამოიცვალა მხოლოდ 2000. რაც შეეხება ისრების მოწესრიგების საქმეს, ეს უკვე მიღწეულია სამმართველოს მიერ. ხიდების შეკეთების საქმე პირველ რიგში სდგას.

საბინაო აღმშენებლობის შესახებ ამხ. პოზდეევმა აღნიშნა, რომ ოქტომბრისათვის ეს საქმე მოგვარებული იქნება.

ტრანსპორტის ექსპლოატაცია.

უმთავრესი ფინანსიური სალსარი სამმართველოს აქვს ექსპორტიდან. დღეღამეში ბაქოში იტვირთება ნავთით 180 ცისტერნი. დასავლეთის ხაზზე ჭიათურის მარგანეცის კი—100 ვაგონი. კომერციული ხასიათის ბარგი იზიდება დღე და ღამეში 400 ვაგონი.

ჩვენ მივიღეთ შესყიდული ორთქლმავლები გერმანიიდან და შვეციიდან.

სამგზავრო ვაგონების მდგომარეობა ძალიან ცუდი იყო. განსაკუთრებით ძველი ვაგონებისა. საჭირო იყო მათი შეკეთება რამოდენიმეთ მაინც. ამ საქმეში სამმართველომ შესაფერი ნაბიჯებიც გადასდგა. ცენტრიდან მიღებულია 17 ახალი ვაგონი.

განათების საქმე.

ვაგონებში ელექტრონით განათება ძვირი ჯდება. საჭიროებაა მოეწყოს ელექტრო-სადგურები, რისთვისაც სამმართველოს შედგენილი ჰქონია უკვე სათანადო პროექტები. სამმართველოს განზრახვა აქვს შეიძინოს აგრეთვე რკინის დასამზადებელი მარკენცის ღუმელი.

ფინანსიური მდგომარეობა.

ა.-კ. რკ. გზ. იმყოფება ს. ს. რ. კ.-ს გზათა სახალხო კომისარიატის ბიუჯეტზე. ხარჯები დიდია. სამმართველოს განზრახვა აქვს ტარიფის გადიდება 10 პროც.

უბედური შემთხვევები.

უბედურ შემთხვევების თავიდგან ასაცილებლათ სამმართველო აწყობს გამომცდელ კომისიებს, სადაც გადაისინჯებიან ყველა ახლად მისაღები მოხელეები. ეს კი საგრძნობლად შეამცირებს უბედურ შემთხვევებს გზაზე.

ნაციონალიზაცია რკინის გზაზე.

საქმეთა წარმოება საქართველოს რკინის გზის ხაზზე ქართულად არის. ნაციონალიზაცია ფართოდ ტარდება. სამმართველომ გახსნა ადგილობრივი ენების შესასწავლი კურსები, სადაც მრავალი მოსამსახურენი სწავლობენ ენებს.

კამათი

შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ იხსნება კამათი, რომელშიაც მონაწილეობენ ამხანაგები: ჯანჯღავა, გრიგორიანი, სარქისოვი, გოგოლაძე, სემკოვი, სადიხი და სხვ. ყველა მათგანი აღნიშნავენ ნაკლს რკინისგზის სამმართველოს ზოგიერთ დარგში.

ამხ. **სემკოვი** საჭიროდ სცნობს რათა რ. გზის სამმართველომ მოაგვაროს მუშათა ხელფასის საკითხი აგრეთვე საჭიროდ სცნობს შემფ. საკონ. კომისიასთან სამმართველოს მჭიდრო კავშირის დაცვას.

ამხ. **სტეპანოვი** ეხება რკ. გზაზე უბედური შემთხვევების საქმეს და მოაგონებს სამმართველოს, რათა სავსებით გამოარკვიოს უკანასკნელმა უბედ. შემთხ. მიზეზები.

საბოლოო სიტყვაში ამხ. **პოზდეევი** ხაზგასმით ამბობს, რომ სამმართველოს განზრახვა აქვს საბოლოოდ განამტკიცოს კავშირი ადმინისტრაციის და პროფკავშირებს შორის და ამით ხელი შეუწყოს პროლეტარული სახელმწიფოს ტრანსპორტის გამაგრებას.

ამხ. ტანდიტის მოხსენება

საინფორმაციო ხასიათის მოხსენებას სრულიად საკავშირო რკ. გზის ცენტრალურ ორგანო „გუდოკ"-ის სახელით აკეთებს ამხ. **ტანდიტი**. ის აღნიშნავს „გუდოკ"-ის ფართო მასიურ ხასიათს და მოუწოდებს პროფკავშირის პლენუმს იზრუნონ მისი გაფართოებისათვის.

სათანადო რეზოლიუციებს გამომუშავება ამხ. **პოზდეევის და ტანდიტის** მოხსენებების შესახებ მიენდო განსაკუთრებულ კომისიას.

საღამოს სხდომა

რ.-გზელთა მომხმარებელი საზოგადოების მუშაობა

(ამხ. აკიმოვის მოხსენება).

ამხ. აკიმოვი თავის მოხსენებაში ვრცლად ეხება „ზაკტპო"-ს ფინანსიურ მდგომარეობას, რომლის აღორძინება უნდა იყოს პროფკავშირის უმთავრესი მიზანი.

შემოდის შეკითხვები, რომელზედაც ამხ. **აკიმოვი** დასაბუთებელ პასუხს იძლევა.

იხსნება კამათი, რომელშიაც მონაწილეობ 5 ამხანაგები: სადიხი, გოგოლაძე და სხვები.

ამხ. სადიხი აღნიშნავს „ზაკტპო"-ს მოქმედების სუსტ მხარეებს განჯის უბანში და საერთოდ აღმოსავლეთის ხაზზე, რომლის მოგვარებასაც უნდა ეცადოს „ზაკტპო".

ამხ. **გოგოლაძეს** საჭიროდ მიაჩნია ქუთაისში წითელი სასადილოს გახსნა.

ამხ. აკიმოვი პასუხს აძლევს ყველა ოპონენტებს და პირდება რომ გამგეობა მხედველობაში მიიღებს პლენუმზე აღნიშნულ ნაკლს.

პლენუმი იღებს სათანადო რეზოლიუციებს ყველა მოხსენებების გამო და ერთხმად ღებულობს მისასალმებელ დეპეშას სრულიად საკავშირო ტრანსპორტის რკინის-გზელთა პროფკავშირის ცეკაში გასაგზავნად.

რეზოლიუციები

პრეზიდიუმის მოქმედების შესახებ

მოისმინა რა ამხ. ქავთარაძის მოხსენება პრეზიდიუმის მოქმედების შესახებ 2-ე კონფერენციიდან დღევანდელ მომენტამდე, ამიერ კავკასიის რკინისგზელთა პროფკავშირის პლენუმი თვლის პრეზიდიუმის მოქმედებას სავსებით დამაკმაყოფილებლად.

1) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მასიურ პრაქტიკულ მუშაობას პროფესიონალურ მოძრაობაში ფართო მასების ჩაბმის საშუალებით.

2) დაბალ საფეხურის იაჩეიკებთან მჭიდრო კავშირის დასაჭერად საჭიროა ადგილებიდან მუშაკების პერიოდულ გამოწვევა მოხსენებების გასაკეთებლად და აგრეთვე პრეზიდიუმის წევრთა ადგილებზე გამგზავრება.

3) წინადადება მიეცეს პროფ-კავკასიის რკინისგზელთა ფროფ-კავშირის პრეზიდუმს დააჩქაროს 2-ე კონფერენციის იმ დადგენილების ცხოვრებაში გატარება, რომელიც ეხება რკინის გზათა სამმართველოსთან სამოსწავლო განყოფილების შექმნას.

4. წინადადება მიეცეს პრეზიდიუმს გადასინჯოს სატარიფო სარტყლები და მოამზადოს მასალები მორიგ ყრილობისათვის სარტყლების მომავალ არსებობის საკითხის გადასაჭრელად.

5. წინადადება მიეცეს პრეზიდიუმს სასწრაფოდ გაატაროს ცხოვრებაში ზარდ სამუშაოების მტკიცე შეფასება და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული ადგილებზე ქვეკომისიების მოწყობა.

6. იღებს რა მხედველობაში ამიერ-კავკასიის რკინის გზის საკვანძო პუნქტში ხელფასის მომატებას და მის გავლენას ჩვენ გზებზე, პლენუმი საჭიროთ სთვლის საკვანძო გზების ხელფასი დაუახლოვდეს ჩვენი გზების ხელფასს.

7. იღებს რა მხედველობაში ამიერ-კავკასიის რკინის გზების საქონლის ტრიალის ზრდას ერთის მხრივ და გზების დეფიციტის შემცირებას მეორეს მხრივ, საჭიროთ სთვლის რკინისგზელებისათვის ხელფასის გადიდებას.

8. აძლევს რა დიდ მნიშვნელობას შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიას, როგორც საკავშირო მუშაობის შემადგენელ ნაწილს, რომელზედაც დამოკიდებულია საკიხის გადაწყვეტა დაცულ იქნას მისი ფუნქციები, უფლებები და ავტორიტეტი და ამავე დროს ჩატარებულ იქნას ფართო მასებში კამპანია შემფას. - საკონფლიქტო კომისიის უფლება - მოვალეობათა შესახებ და დაეკისროს და მთელი პასუხისმგებლობა შემფას. - საკონფლიქტო კომისიის მუშათა ნაწილის სწორი მუშაობისათვის დაეკისროს საუბნო პროფკავშირს.

9. ამავე დროს დაევალოს პრეზიდიუმს მოიწვიოს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის კონფერენცია რკინის გზათა სამმართველოსთან ერთად ამიერ-კავკასიის მაშტაბით.

ამიერ-კავკასიის რკინის გზების მდგომარეობის შესახებ

1. მოისმინა რა ამხ. პოზდეევის მოხსენება ამიერ-კავკასიის რკინის გზების მდგომარეობის შესახებ, ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა პროფესიონალურ კავშირის 3-მე პლენუმი დამაკმაყოფილებლად სთვლის მუშაობას მაგრამ აღნიშნა:

1. საბინაო საკითხის სიმწვავის გამო, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მუშათა უბნების მოწყობას, შესაფერი შენობების შეკეთებას რკინის გზელთათვის, ხოლო იქ სადაც არსებობს საბინაო ამხანაგობა გაუწიოს მათ რეალური დახმარება.

2. იღებს რა მხედველობაში აღმოსავლეთ უბნის რკინის გზის ხაზის გაცვეთას პლენუმი საჭიროთ სთვლის შეკეთებულ იქნას ამ უბნის ზედნაშენები და აგრეთვე სამოქალაქო სადგომები.

3. გამონახულ იქნას საშუალება მუშაობის ხასიათის გადასინჯვის და ხელფასის ფონდის მიზანშეწონილად გამოყენების საშუალებით და შესრულებულ იქნას ზედმეტი ხარჯები.

4. მიღებულ იქნას ზომები რკინის გზისათვის საჭირო მასალების შესაძენად და მოხდეს ამ მასალის სისწორიდ განაწილება უბნებს შორის.

5. აღნიშნავს რა ამიერ-კავკასიის რკინის გზების საქონლის ტრიალის გადიდების ფაქტს და ამავე დროს მხედველობაში იღებს რა ტრანსპორტის მუშათა მძიმე მდგომარეობას, პლენუმი ავალებს გზების სამმართველოს დააჩქაროს ხელფასის მომატების საკითხის სასწრაფოდ გადაჭრა.

ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოების გამგეობის მოქმედების შესახებ

მოისმინა რა ამიერ - კავკასიის ტრანსპორტის მომხმარებელ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის ამხ. აკიმოვის მოხსენება გამგეობის მოქმედების შესახებ, ამიერ-კავკასიის რკ. გზ. პროფკავშირის საბჭოს პლენუმი აღნიშნავს, რომ გამგეობის მიერ შესრულებული მუშაობა სრულიად დამაკმაყოფილებელია.

აღნიშნავს რა იმ ფაქტს, რომ რკინისგზელების მომარაგების საქმე გაუმჯობესებულია, საზოგადოების საქონლის ბრუნვა გადიდებულია და ზედდართული ხარჯები საგრძნობლად შემცირებულია, პლენუმი ადგენს:

1) ყოველმხრივი დახმარება გაეწიოს ამიერ-კავკასიის ტრანსპორტის მომხმარებელ საზოგადოებას ადგილობრივ პროფმუშაკების მხრივ.

2) საჭიროთ ჩაითვალოს სატრანსპორტო კოოპერაციისათვის რეალურ დახმარების გაწევა სამეურნეო ორგანოების მხრივ, რაც უნდა გამოიხატოს შემდეგში:

ა) შეღავათიან პირობებში იქნას გადაზიდული მომხმარებელ საზოგადოების ტვირთები.

ბ) შემცირებულ იქნას მომხმარებელ საზოგადოების მიერ დაკავებულ შენობის ქირა.

გ) სრულიად განთავისუფლებულ იქნან ბინის ქირისაგან კოოპერატივები.

დ) გაადვილებულ იქნას ვაგონდუქნების მიმოსვლის ტეხნიკა.

ე) უფასოთ უნდა იგზავნებოდეს მომხმარებელ საზოგადოების კორესპონდენციები, ამანათები და დეპეშები, კოოპერატიულ ერთეულების მისამართით.

ფინანსიურ დარგში.

3) გაეწიოს ფინანსიური დახმარება მომხმარებელ საზოგადოებას საქონლის დამზადების საქმეში.

თ) მიეცეს მასიური კრედიტი მუშებს რკ. გზების სამმართველოსა და კოოპერაციის საშუალებით.

ზ) მიექცეს ცენტრალურ სახელმწიფო ორგანიზაციების ყურადღება მუშათა კოოპერაციისათვის საქონლის მიწოდების და კრედიტის პირობების შემსუბუქებას.

ი) მიექცეს საკრედიტო ორგანიზაციების ყურადღება საბანკო კრედიტის გადიდებისა და გაიაფების აუცილებლობას.

ფ) საჭიროდ იქნას მიჩნეული ახალ კოოპერატიულ ერთეულების გახსნა პროფორგანიზაციების დადგენილების თანახმად განჯაში, ლენინაკანში, თბილისის უბანში და ბაქოში.

საბჭოთა სასამართლო

ა. ლებედევის საქმე

ალმ. საქ. ოლქის სასამართლომ შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე კაჭარავა, სახალხო მსაჯულნი ალიოხინი და აბზიანიძე და მდივანი საკანდელიძე—მოისმინა დახურულ სხდომაზე მოქ. ანტონ ლებედევის საქმე. ლებედევს ბრალათ ედებოდა ს. ს. კ—ის 176 მუხლში გათვალისწინებული ბოროტმოქმედება.

ბრალდებულის მეზობლათ ცხოვრობდა ვინმე ვერა ბენუა და მისი პატარა ქალიშვილი. ერთხელ, როდესაც ბავშვის დედა შინ არ იყო, ლებედევმა თავის ოთახში შეიყვანა 5 წლის ალჯა (ბავშვის სახელი). ლებედევი გაუმასპინძლდა პატარა სტუმარს ჯერ ერთი რუმკა ღვინით, შემდეგ კი დაიკმაყოფილა მასთან თავისი სქესობრივი გრძნობა (სხეულის შეულახავათ).

სასამართლოს მსჯავრი: თავისუფლების აღკვეთა გამასწორებელ სახლში ოთხი წლის ვადით.

მეცნიერება-ტეხნიკა

ლარინგოფონი—ტელეფონი, რომელშიც არ ლაპარაკობენ.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ტელეფონის აპარატები იმდენათ გააუმჯობესეს, რომ მათი საშუალებით შესაძლებელი გახდა ნელი ხმით ლაპარაკის გადაცემა შორ მანძილზე. მაგრამ ამავე მიზეზის გამო, ტელეფონი გადასცემს არა მარტო უშუალოდ მოლაპარაკე პიროვნებათა საუბარს—ხმებს, არამედ მთელ იმ ხმაურობას, რომელსაც ადგილი აქვს იმ ოთახში, საიდანაც ლაპარაკობენ.

მრავალ შემთხვევებში, როცა უხდებათ ლაპარაკი სამანქანო განყოფილებიდან. ოთახიდან სადაც ხელით საბეჭდ მანქანაზე მუშაობენ, კერძო ხმაურობა იმდენათ დიდია, რომ ფარავს მოლაპარაკეს ხმას და ტელეფონში არაფერი არ ისმის.

ინგლისში ამ რამოდენიმე ხნის წინათ გამოიგონეს ტელეფონის აპარატი ასეთი ხმაურობით სავსე შენობებისათვის. ამ ტელეფონს ეწოდება ლარინგოფონი (ლათინური სიტყვებიდან larinx—ხორხი). როგორც ვიცით, ყველა ხმები, რომლებიც ჩვენს მეტყველებას წარმოადგენენ, წარმოიშობიან ხორხში.

ე. წ. „ხმოვანი იოგების" საშუალებით, გამოირკვა, რომ ლაპარაკის დროს ხორხი და კანი ყელზე ირხევა ისე, როგორც ფირფიტა ტელეფონის აპარატში. ლარინგოფონში გამოყენებულია ეს გარემოება.



ლარინგოფონი.

სალაპარაკო მილს პირთან კი არ მიიდებენ, არამედ ხორხზე. ფირფიტა, რომელიც მიმაგრებულია სალაპარაკო ლია მილის ნაცვლად ებჯინება ხორხზე და იჭერს ლაპარაკის დროს ხორხის და ყელის კანის რხევას და სიტყვების სახით გადასცემს მეორე მოსაუბრეს. ოთახის ხმაურობას ლარინგოფონი არ გადასცემს, და ამრიგათ ლაპარაკი ტელეფონში განსაკუთრებულათ გარკვევით ისმის.



მეზღვაური ლარინგოფონით.

ლარინგოფონის გამოგონებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მეზღვაურებისათვის. ქარიშხალის დროს შეუძლებელი ხდება გემის უფროსის განკარგულებების მიღება. ლარინგოფონი კი ამ დაბრკოლებას ბოლოს უღებს.

ხელით საბეჭდი მანქანის იუბილე.

მიმდინარე წელს შესრულდა საბეჭდი მანქანის იუბილე,

სწორეთ 50 წლის წინათ, ეს იუბილიარი პირველათ გამოჩნდა ბაზარზე როგორც „რემინგტონის" სისტემის ხელით საბეჭდი მანქანა. მაგრამ არავინ იფიქროს, რომ ეს იყოს მისი ნამდვილი გამომგონებელის სახელი. ასეთი სახელწოდება მიიღო მან იმ კაცისაგან, რომელსაც ჰქონდა საშუალება, რომ ამ ფრიად მნიშვნელოვან გამოგონებას მზის სინათლე ეხილა. ფაბრიკანტმა რემინგტონმა შეიძინა გამოგონება და თავისი სახელით გამოუშვა ის ბაზარზე.

საბეჭდი მანქანის პირველი მოდელი დაამზადა ინგლისელმა გენრი მილმა. მაგრამ მაშინ მის გამოგონებას არავინ მიაქცია ყურადღება.

შემდეგ გამოიგონეს საბეჭდი მანქანა გერმანელმა მექანიკოსმა ვოლფგანგ კრემპელენმა. იტალიელმა კონტიმ, ფრანგმა ფიზიკოსმა ფუკომ.

მაგრამ ყველა ეს გამოგონებები მხოლოდ მუზეუმებს ამდიდრებდენ, მაშინ კიდევ არ იყო საჭიროება ასეთი მანქანის.

1867 წელს შოლესმა გამოიგონა თანამედროვე საბეჭდი მანქანა, რომელშიც ამერიკელმა ფაბრიკანტმა რემინგტონმა მცირეოდენი ცვლილებები შეიტანა და შეუდგა მის მასიურ დამზადებას თავის ქარხნებში.

ქრონიკა

— **კანონების და დადგენილებათა გამოცემა ცალკე კრებულით.** ს. იუსტიციის სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა გამოსცეს ცალკე კრებულათ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონები და დადგენილებები.

— **სამგზავრო ბილეთების შეძენა სახლში.** თბილისის ქალაქის რკინისგზის სადგურმა გადასწყვიტა მოაწყოს მოქალაქეთათვის სამგზავრო ბილეთების სახლში მიწოდების საქმე. მსურველებმა სახლში მიღებულ მაგარ საჯდომიან კლასის ბილეთზე უნდა გადაიხადონ მეტი 1 მან.; 2 მან. რბილ ვაგონების ბილეთზე, პირდაპირ მიმართულებით—3 მან. მაგარ საჯდომიან ვაგონის ბილეთზე, ხოლო რბილ საჯდომიან ვაგონის ბილეთზე—5 მან.

— **დამხმარე პუნქტი.** ქალაქის კომუნალურ განყოფილებამ გადასწყვიტა მნაცაკანის ხიდთან ახლოს მოაწყოს მე-6 დამხმარე პუნქტი.

— **აგრო-დახმარების პუნქტები,** ქალ. მიწად-მოწყობის განყოფილებამ მოაწყო აგრო-დახმარების პუნქტები წალკაში, აღბულაღში, ასურეთში, გარე-კახეთში, გარე უბანში და მანგლისში.

— **ფასის გადიდება აბანოებში.** ქალ. კომუნალურ განყოფილებამ ქალ. აბანოებში შესასვლელი ნიხრი გაადიდა 50 პროცენტით.

— **გუთნების და სათიბ იარაღების გაგზავნა მაზრებში.** ქალ. მიწადმოწყობის განყოფილებამ გაგზავნა მაზრებში გლეხებზე დასარიგებლად 43 გუთანი და 5 სათიბი.

— **ქუჩებისათვის სახელების გადარქმევა.** ქ. ალმასკომის კომუნალურ განყოფილებამ დაადგინა, სტატისტიკურ განყოფილების სიის მიხედვით გამოეცვალოს სახელი 48 ქუჩას.

— **მადლობა ენერგიულ მუშაობისათვის.** ქ. ალმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებს დანელიას და მარკოზიანს გამოეცხადოს მადლობა ენერგიულ მუშაობისათვის.

— **მოსავალი ახალქალაქის მაზრაში.** მაზრაში ყოფილმა გვალვამ დააზარალა 2.000 დესეტინა ნათესი ხოლო სეტყვამ 4,000 დესეტინა.

— **ჰიდრო-ელექტრონული სადგური.** ახალციხის ჰიდრო-ელექტრონული სადგურის აშენების საქმე მიმდინარეობს დაჩქარებით. მუშაობა დასრულდება მომავალ ოქტომბერში.

— **მიწათ-მოწყობა თელავის მაზრაში.** იყალთოს რაიონის გლეხებმა დაადგინეს თავის ხარჯით მოიწვიონ მიწის მზომელები მიწად-მოწყობის საქმის მოსაგვარებლათ.

— **სათიბების სივრცე.** მარტო ახალციხის მაზრაში სათიბ-საძოვრების საერთო სივრცე უდრის 37,500 დესეტინას, აქედან 12.700 დესეტინა ჩამორთმეულია მემამულეებისაგან.

— **ქალაქის წისქვილი.** ქალაქის წისქვილი დღე-ღამეში ფქვავს 5000 ფუთ მინას.

— **სამკურნალო იარაღები.** თვალის საექიმო ინსტიტუტმა საჭირო იარაღების შესაძენათ საზღვარ-გარეთ გადაგზავნა 90 გირ. სტერლინგი.

— **ტყის მოშენება.** მამადავითზე ტყის მოშენება დესეტინაზე დაახლოვებით დაჯდა 200-250 მან.

— **ტფილისის მუშათა სახლები.** ტფილისში არსებულ 149 მუშათა სახლიდან ამ თვეშივე საჭიროებს საფუძვლიან შეკეთებას 72 სახლი.

— **ორშაბათი საქმიანი დღეა.** შრ. სახ. კომისარიატი აცხადებს, რომ მომავალი ორშაბათი, 28 ივლისი საქმიანი დღეა. დასასვენებელ დღეთ გამოცხადებულია 4 აგვისტო.

— **მოწაფეთა რიცხვი.** წარსულ სამოსწავლო წლის პირველ ნახევარში თბილისში ირიცხებოდა სულ—43,506 მოწაფე, ქუთაისში—38,521 მოწაფე, მთელ საქართველოში—229,899 მოწაფე.

— **მოწაფეთა რიცხვი ეროვნების მიხედვით.** საქართველოში არსებულ ყველა ტიპის სკოლებში ირიცხება—176,236 მოწაფე. სომეხი—21,505 მ., რუსი—8,855 მოწ., ბერძენი—1,808 მოწ., თათარი—3,520 მოწ., გერმანელი—1,833 მოწ., ებრაელი—1,357 მოწ.; დანარჩენი—4,920 მოწაფე.

— **გლეხკომების სახელმძღვანელოთ.** სოც.-უზრუნველყოფის სახ. კომისარიატმა გაუგზავნა გლეხკომებს კომპარტიის მეცამეტე ყრილობის რეზოლიუციიდან ამონაწერი, გლეხკომების მუშაობის შესახებ ცნობათ და სახელმძღვანელოთ.

— **სასოფლო-სამეურნეო იარაღები გლეხკომებისათვის.** სრ. საქ. გლეხკომების ცენტრ. ბიურომ მიმართა ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატს, რათა შეღავათიან ფასებში დაუთმოს სასოფლო-სამეურნეო იარაღები გლეხკომებისათვის დასარიგებლათ.

შემთხვევები

— თვითმკვლელობა. 21 ივლისს, გათენებისას სოფ. წალკაში, ანნა ხუციშვილმა, ოჯახურ უკმაყოფილების ნიადაგზე თავი მოიკლა ვინტოვკიდან სამჯერ გასროლით.

— ქურდობა. 21 ივლისს, პუშკინის ქ., № 25, ღია ფანჯარაში გადასვლით, გაქურდეს არაქელ ტერ-ვართანოვის ბინა, წაიღეს 200 მან. ნივთები.

— შეპყრობა. 21 ივლისს, შეიპყრეს ვასილ გამცემლიძე, რომელსაც ბრალდება ალექსანდრე არუთინოვის ბინის გაქურდვა.

— ქურდობა 21 ივლისს, დღით, ელისაბედის ქ., № 148, გაქურდეს კლემენტი ცაგარელის ბინა, წაიღეს 500 მან. ნივთები.

— ამავე საღამოს, სასტუმრო „ვეტცელში", პლეხანოვის პრ. გაქურდეს ვასილენკოს ოთახი, წაიღეს 350 მან. ნივთები.

ხელოვნება

მე-5 სიმფონიური კრება

მეხუთე სიმფონიური კრება სტოლერმანის მეთაურობით მიძღვნილი იყო ბერლიოზის, ლისტის და ვაგნერის შემოქმედებისათვის.

კონცერტს წინ უძღოდა კომპოზიტორ არაყიშვილის შესავალი სიტყვა, რომელშიაც მან განმარტა კომპოზიტორთა შემოქმედების მნიშვნელობა მუსიკის ისტორიაში.

კონცერტი დაიწყო ბერლიოზის დრამატიული ლეგენდის „ფაუსტის გასამართლება"-ს შესრულებით. ლეგენდას, როგორც ბერლიოზის შემოქმედების დიდ ნაწილს, პროგრამული ხასიათი აქვს. სიუჟეტი აღებულია გოეტეს პოემიდან „ფაუსტი". შესრულებული იყო მარში, სილფების ცეკვა და მენუეტი. სტოლერმანს მხატვრულად აქვს დამუშავებული ლეგენდის ყველა ნაწყვეტები.

არ შეგვიძლია დავეთანხმოთ სტოლერმანს ვაგნერის პოემის „იზოლდას სიკვდილი"-ს გაგებაში. ეს ვაგნერის ოპერის „ტრისტან და იზოლდა"-ს ერთერთი საუკეთესო ფურცელია და ჩვენ ვფიქრობდით, რომ სტოლერმანი, რომელიც სისწორით უდგება ყოველთვის ყოველ მუსიკალურ ნაწარმოებს, ამ შემთხვევაშიაც ჩვეულებრივ მხატვრულ გემოვნებას და გაგებას გამოიჩენდა. მაგრამ სამწუხაროდ ამას არ ჰქონია ადგილი. აქ ხაზგასმული უნდა იყოს ძირითადი მელოდიური თემის ხმოვანების თანდათანობითი ზრდა და ხმოვანება უმაღლეს წერტილამდი უნდა იქნეს აყვანილი; მაშინ ნათელი იქნება ავტორის განზრახვა, რომლის მიზანია გამოხატოს მუსიკაში იზოლდას ტანჯვა და მისი სიკვდილი იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა ვერ გაუძლო საყვარელი ადამიანის—ტრისტანის გარდაცვალებას. ყველაფერი ეს წითელი ზოლივით უნდა იქნეს გატარებული ნაწარმოების დინამიკაში, სტოლერმანმა კი ვერ დაასურათა ხმოვანების თანდათანობითი ზრდა და ნიუანსების მხრივ ადგილი ჰქონდა ზოგიერთ დეფექტებს.

საუცხოვოთ იყო შესრულებული ოპერა „ლოენგრინის" შესავალი. კარგად იყო შესრულებული აგრეთვე ოპერა „ტანჰეიზერი"-ს უვერტიურაც. მაგრამ მაინც სასურველია უფრო გამჭვირვალე ნიუანსიროვკა, საჭიროა ხაზგასმული იქნეს პილიგრიმების თემა ფინალში, ვაკხანალიის თემაში კი საკმაოთ მკაფიო ვერ არის სიმებიანი ინსტრუმენტების მელოდია.

ლისტის ნაწარმოებებიდან შესრულებული იყო მისი ცნობილი სიმბოლიური პოემა „პრელიუდიები".

პ. ბ.

პროვინციაში

ქვიშხეთი (გორის მაზრა)

საუცხოვო სანახავია სოფელი ქვიშხეთი მდებარეობით და ჰავით; მრავალი მოაგარაკე აწყდება ამ მხარეს ზაფხულობით და ჩვეულებრივ წელსაც ბლომადაა აქ მოაგარაკეები და წითელარმიელები. მოსავლის მხრივ ამ მხარის მდგომარეობა შედარებით კარგია. პურს უკვე მკიან. კულტურული მუშაობა კარგათ არის დაყენებული, არსებობს ბიბლიოთეკა-სამკითხველო, სადაც თავისუფალ დროს თავს იყრის გლეხობა და კითხულობს გაზეთებს და წიგნებს. მხოლოდ „კომუნისტი" და „მიწის მუშაა" გამოწერილი,; ჟურნალებიც ცოტაა, თანამედროვე პატარა და შინაარსიანი წიგნები და ახალი წიგნებიც ნაკლებათ მოიპოვება. გარდა ამისა სამკითხველოს ერთი ნაკლი აქვს; ალმასკომი და სამკითხველო ერთ ოთახშია მოთავსებული, სადაც მომჩივანი გლეხები ერთმანეთში შელაპარაკების დროს მკითხველებს ხელს უშლიან „რა არის კაცო წამოილაპარაკა ერთმა გლეხმა, ამდენ ყაყანში რას წაიკითხავს კაცი, თუ სამკითხველოა ალმასკომს რაღა უნდა აქ?!" ხაშურის რაიალმასკომო, მოაგვარე ეს საკითხი, მოუნახე სამკითხველოს ცალკე ბინა.

ალმასკომის შენობასაც შეკეთება სჭირია. სამკითხველოს გამგეს ოთხი თვის ჯამაგირი არ მიუღია.

სუმბათოვის ყოფილ სახლებში მოწყობილია საზამთრო თეატრი, სადგურთან კი წითელ-არმიელებმა დაამთავრეს საზაფხულო თეატრი ცის-ქვეშ ადგილობრივი მცხოვრებთა დახმარებით.

რუსულ და ქართულ დრამატიულ წრეების მიერ იდგმება წარმოდგენები, უკრავს სამხედრო მუსიკა.

როდესაც წარმოდგენიდან ვბრუნდებოდი, ერთ ჩემ ძველ ნაცნობ მოხუც გლეხს ვკითხე:

„კოტე, შენ ძველი კაცი ხარ, არაფერს დამიმალავ და მეტყვი, როგორ მოსწონს გლეხობას ეს მთავრობა, როგორი დამოკიდებულებაა წითელარმიელებს და გლეხებს შორის, კოოპერატივი თუ არსებობს, უზრუნველჰყოფს თუ არა გლეხების მოთხოვნილებას, და როგორ უყურებენ სოფლელები რელიგიურ საკითხს".

— როგორ გითხრა, ეს ჯარი რომელიც საზაფხულოდაა ჩამოსული, სინდისიერათ და ზრდილობიანათ იქცევა, ვერავითარ ძალადობას ვერ შევამჩნევთ, თუმც იმ ადგილას, სადაც დაბინავდენ, პური გვეთესა გლეხებს, რომელიც ჩამოგვართვეს, მაგრამ სამაგიეროთ მივიღეთ ფული, მეთორმეტე თუმანი მერგო. ნახევარი მივიღე, რომლიდანაც ამაზე მეტი არც კი მოვიდოდა.

აქ გახსნილია ორი კოოპერატივი რომელშიაც ყველაფერი იშოვება, რაც-კი ენით ითქმის, უწინ ყველაფერზე ხაშურში მივდიოდით, ეხლა აღარსად გვჭირია წასვლა ყველა. ხიდები შეაკეთეს, ეხლა ისეთი აბანო გააკეთეს. რომ მტრის თვალს ემება. ამბობენ სოფელიც უნდა გავანათოთ ელექტრონითო, ხალხიც ამის შემყურე კმაყოფილია: ვინ იქნება სულელი. რომ ცუდი სთქვას რამე, როდესაც ყველაფრის გაკეთებაზე მზათ არიან, მიწებიც დაანაწილეს, მაგრამ ერთი ვერ გამიგია, ყველა იძახის, მღვდელი და ბერი არ გვწამსო მე მოხუცებული კაცი ვარ მღვდელი და ბერი არც მე მწამს იმის შემდეგ, რაც ჩვენ მღვდელს ვუყურე, მარხვაში პირველად სამარხვოს თითონ სჭამდა, სხვას კი ეუბნებოდა ცოდვააო. წმინდა ნაკურთხს თითონ რომ ველარ სჭამდა, ცხენს აჭმევდა; ზევრჯელ მოასწრეს უნამუსობაზე სოფელში ქალებთან და ბერიც სცემეს ხოლმე.

ღმერთიც კი... და ჩაფიქრდა, რა ვიცი კაცო კიდევ ვერა გავიგე რა, იქნებ მართლაც არ იყო, მაგრამ ხომ შეჩვეული ვართ.

— ასეთი მდგომარეობაა სოფ. ქვიშხეთში ყველა რაღაც უკეთესის გაკეთებას მოელის, ყველა დაინტერესებულია საერთო საქმით, ყველას ახლის მოსმენა, ახალის გაგონება უნდა. ეს კი ხაშურის რაიალმასკომის საქმეა; გააძლიეროს სოფლად კულტმუშაობა, გამართოს ხშირად ლექციამოხსენებები პოლიტიკურ, ანტირელიგიურ და სასოფლო სამეურნეო საკითხების შესახებ. ეს აუცილებლათ საჭიროა სოფლის კულტურულ ეკონომიური წინსვლისთვის.

ქ—ძე.

დ. ხარაგოული (შორაპნის მაზრა).

საქართველოს სატყეო ტრესტის მიერ განზრახულია ხარაგოულის რაიონში გრეხილი ავეჯეულობის ქარხნის დაარსება (производство гнутой мебели), მის მოსაწყობათ მუშაობა უკვე დაწყებულია. ქარხანა შენდება სადგურ მარელისსა და ხარაგოულს შუა მდებარე ვაკე ადგილზე „დიდვაკეში". ქარხნის მოსაწყობათ მთელი მუშაობა უნდა დათავდეს ერთი წლის განმავლობაში. გლეხობა დიდი სიხარულით ხვდება ქარხნის დაარსებას, იმედი აქვს მასში მუშაობით რამოდენიმეთ მაინც გააუმჯობესოს თავისი მდგომარეობა. ტყე ამ რაიონში ბლომათ მოიპოვება, ადგილობრივი ხელისუფლებაც მზად არის ხელი შეუწყოს სატყეო ტრესტს მის მიერ დაწყებულ მუშაობაში.

13 ივლისს დ. ხარაგოულში მოწვეულ იქნა ადგილობრივ მცხოვრებთა საერთო კრება. მიუხედავათ იმისა, რომ კრება ნაჩქარევათ იყო მოწვეული და თანაც საქმე დღე იყო, ხალხი მაინც მრავალი მოაწყდა. საქ. სახელმწიფო ბანკის გამგეობის წევრმა ამხ. დუმბაძემ გასაგები ენით განუმარტა კრებას საკრედიტო ბანკის დაარსების მნიშვნელობა. გლეხობამ საჭიროთ იცნო საკრედიტო ბანკის დაარსება და გადასწყვიტა შეიტანოს ამხანაგობაში საპაიო თანხა ხუთი მანეთი თვითეულმა.

მესამე წელიწადია, რაც ხარაგოულში არსებობს „ევო". საერთოდ კოოპერატიულ ცხოვრებას აქ ათი წლის წარსული აქვს, რომლის განმავლობაში არც ერთი კოოპერატივისგან არ გვახსოვს რაიმე ღირსშესანიშნავი, მათი არსებობა სრულებით უმნიშვნელოთ იწყებოდა და თავდებოდა. დღეს მათ მაგივრობაზე წამოიჭრა დღევანდელი „ევო", რომელმაც სრულებით გაამართლა თავისი დანიშნულება.

ძველი კოოპერაცია ვერ აწარმოებდა ბრძოლას კერძო კაპიტალთან; ის რამოდენიმეთ კიდეც ემსახურებოდა უკანასკნელის ინტერესებს და სრულებით ვერ ეგუებოდა ჩვენს ღარიბ გლეხობას. დღევანდელი საბჭოთა კოოპერაცია და გლეხობა კი ერთმანეთის სინონიმები შეიქმნენ. ისინი ერთად და მედგრათ იერიშით უტევენ კერძო ვაჭრობას და ამ თავდადებული ბრძოლის საერთო ფრონტზე, სხვათა შორის, თავი ისახელა ხარაგოულის მომხმარებელმა საზოგადოებამაც. მან გააქარწყლა ადგილობრივ მოქალაქეთა გულში ძველი კოოპერაციის მიერ შექმნილი უიმედობა და უნდობლობა.

ჭაური.

ს. დიმი (ქუთაისის მაზრა)

ამ სამი დღის წინეთ გაზ. „კომუნისტი"-ს № 162, მოთავსებული იყო წერილი სათაურით „ს. დიმი", ავტორი სწერს: „ერთ დროს დიმში ცხოვრება დუღდა", რადგან აქ არსებობდენ: საკრედიტო ამხანაგობა, კოოპერატივი, წიგნთსაცავ სამკითხველო, თეატრი და სწარმოებდა სარწყავი არხის გაყვანის მუშაობა. დიმში დაარსდა დიმელ მევენახე-მეღვინეთა საზოგადოება, სახელწოდებით „დიმი". ამ საზოგადოების წესდება უკვე დამტკიცდა მთავრობის მიერ. საზოგადოება ფართო მიზნებს ისახავს: მას სურს თავის წევრების მევენახეობა-მეღვინეობის ნაწარმოებს ბაზარი მოუპოვოს, საუკეთესო ჯიშის ვაზი მოაშენებინოს, ხელოვნურათ ღვინის დამზადება ასწავლოს და სხვა.

საზოგადოება უკვე შეუდგა მუშაობას. მან გაგზავნა ქ. თბილისში თავისი რწმუნებულები—გამგეობის წევრნი: მ. მაჩიტაძე და ა. თავხელიძე და დაავალა მათ იშუამდგომლონ ბანკების წინაშე სესხის ასაღებათ და თბილისში ღვინის საწყობის დასაქირავებლათ.

სარწყავი არხის ასამუშავებლათ შესდგა სამელიორაციო საზოგადოება, რომლის წესდება მთავრობასთან არის გაგზავნილი დასამტკიცებლათ. ჩვენ იმედი გვაქვს მთავრობა ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ამ დიდს საქმეს; დროზედ დაგვიმტკიცებს წესდებას და შესაფერ დახმარებასაც აღმოგვიჩენს. ამ არხის გაუკეთებლობა ამ ზაფხულში ძლიერ დიდ ზარალს მოუტანს საზოგადოებას, რადგან სამუშაო დრო რჩება რთველამდი თვენახევარი და თუ ზამთარმა მოუსწრო არხი, გაუკეთებელი დარჩება, და ის ორი წლის შრომა, რომელიც საზოგადოებამ გასწია არხის გაკეთებაში, ფუჭათ ჩაივლის. აგრეთვე საჭირო იქნება ბანკებიდგანაც სესხის აღება და დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს ბანკები ამაში დაგვეხმარებიან სესხის მოცემით. არხის საჭიროებისათვის, როგორც გავიგეთ, მთავრობას უკვე მოუცია 80 საჟ. თუჯის 30 დიუმიანი მილები, 500 ფუთი ცემენტი და 5,000 მან. ფულათ.

რაიცა შეეხება სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის დაარსებას. ამ საქმის მოგვარება დავალებული ჰქონდა ამხ. ა. თავხელიძეს. რა გააკეთა მან, ჯერ არ ვიცით, გავიგეთ, რომ საქ. სასოფ.-სამეურნ. ბანკიდგან არის გამოგზავნილი ინსტრუქტორი, რომელიც ჩამოივლის დასავლეთ საქართველოს და აღნიშნავს პუნქტებს, სადაც უნდა გაიხსნას ესეთი ამხანაგობები. სრული იმედი გვაქვს, რომ სოფ. დიმიც მოყვება ამ პუნქტების ცხრილში, ვინაიდან აქ 1912 წლიდგან არსებობდა საკრედიტო ამხანაგობა 550 წევრით და რომლის ლიკვიდაცია მოხდა 1921 წ. ადგილობრივ რევკომის მიერ.

ხანისწყლისპირელი.

ტირიფონის არხზე მომუშავეთა შესახებ

ამას წინეთ პრესაში იყო დიდი მითქმა-მოთქმა ტირიფონის არხის და მისი მუშების მდგომარეობის შესახებ. საჭიროდ მიგვაჩნია ზოგიერთი განმარტება მივაწოდო ამ საკითხით დაინტერესებულ პირთ.

მანამ არხის გაყვანას დაიწყებდა ამიერ-კავკასიის წყალთა სამმართველო ამ არხის ახლო მდებარე სოფლების გლეხებმა დაადგინეს: უფასოდ ემუშავნათ ამისთანა სასარგებლო საქმეზე. ამის შესახებ იყო დადებული ხელშეკრულება ა. | კ. წყალთა სამმართველოს შორის ერთის მხრივ და გლეხობის შორის მეორე მხრივ, და თუ ამის შემდეგ გლეხებს ეძლეოდათ ფული,—დღიურ ხელფასად ეს ხდებოდა დახმარების სახით, რისთვისაც მადლობის ღირსია სამმართველო და არა გალანძღვისა პრესაში. ალბათ წერილების ავტორებმა არ იცოდნენ ამის შესახებ, როდესაც პრესაში გამოჰქონდათ ეს საკითხი. შრომის სახ. კომ. მიერ მოწვეულმა შერეულმა კომისიამ 14 ივნისს 1924 წ. შრ. ს. კ. თავმჯდომარეობით ამის შესახებ დაადგინა: ვინაიდან აღნიშნულ არხის აღმშენებლობას აწარმოებს ა. | კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან არსებული მელიორატიული ამხანაგობა, ამისათვის დაწესებული ხელფასი ჩაითვალოს კანონიერად.

ა. | კ. წყალთა სამმართველომ დაადგინა: მიეცეთ მუშებს ხელფასი 50 კაპ. მაშასადამე, შრომის დაცვის უმაღლესმა ორგანოებმა სცნო ეს დადგენილება კანონიერად.

ამის შემდეგ ამ არხის მუშების მდგომარეობის გამოსარკვევად ცენტრიდან ჩამოსული იყო პასუხისმგებელი ამხანაგი, რომელიც არც კი გამოცხადდა სამაზრო ალმასკომში, შესაფერისი დახმარების და ცნობების მისაღებად. ეს ჩემის აზრით შეცდომაა.

საჭიროა საქმის ყოველმხრივ გაცნობა და არა უპასუხისმგებლო მოხსენებების და წერილების გამოქვეყნება გაზეთებში.

ვ. ქურდაძე.

ბიბლიოგრაფია

„მნათობი" № 3. 1924 წ.

ყოველთვიური სამხატვრო-სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

ჟურნალი თანამედროვე სინამდვილის უტყუარი სარკე უნდა იყოს. ამ მხრივ დიდ იმედებს იძლევა ყოველთვიური სამხ. ხალ. ჟურნალი „მნათობი".

„მნათობი" ახალი ტიპის ჟურნალია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მან პირველ ნომრიდანვე მიიღო გარკვეული სახე, რომელიც მეორე და მესამე ნომრებში უფრო აშკარა და თვალსაჩინო გახდა. ჟურნალი გაბედული ნაბიჯებით და თვალხილული მიდის წინ, რომ მიიღოს რევოლიუციონურ ტრადიზმით და სილამაზით სავსე ჩვენი სინამდვილე. სხვა გზა არ არსებობს ხელოვანისათვის, რომელსაც მხოლოდ ჭეშმარიტი - შემოქმედება ასულდგმულებს.

ჟურნალის მესამე № მდიდარია თავის შინაარსით და მრავალ მხრივი მასალების შერჩევით. „მნათობი" განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობას, მაგრამ ამავე დროს საკმაო ადგილს უთმობს როგორც რუსეთის, ისე ევროპის ხელოვნებას.

ჟურნალი იწყება **გალაკტიონ ტაბიძის** ლექსით: აღმოსავლეთი. ეს ლექსი ახალია როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრივ. მდიდარი ფერადებით მოცემულია მონური აზია, რომელიც მძინარე ქსოვს ხალიჩებს, ფარჩებს,

„რომ ქსოვილები შვენებად დარჩეს
ისევ ევროპის მდიდარ ხალონებს".

ძილში მყოფ აღმოსავლეთს თვალწინ უდგას ევროპა-ამპირი, სადაც

„ბრწყინავს კაბარე.
ბრწყინავს რეკლამა.
შანსონეტკები იფერებ თვალებს".

სადაც „კულტურით" მოქანცულნი ველარ გრძნობენ,

„რომ სულ ახალი დროის ჰამლეტი
მოჯადოებულ ბურუსში მყოფი დგება,
ილეწებს აღმოსავლეთი".

პოეტის ოცნება იწვევს ცეცხლოვან ამურს, რომელიც მოივლის მთელ ქვეყანას და ეწვევა აღმოსავლეთსაც ლექსი თავდება ძლიერი სტრიქონებით:

„და თუ გრიგალი ისევ მოვიდა
და გაზაფხულის ველი მოლია,
ის სიცოცხლისთვის იბრძოლებს ისე,
როგორც არავის არ უბრძოლია".

ვასო გორგაძის ლექსი: ლენინ, რევოლიუციონურია შინაარსით და განცდით. პოეტს სჯერა, რომ

„ცეცხლის ტალღა მოედება ქვეყანას
ირგვლივ, ვით ქარიშხალი".

იონა ვაკელის: მაღაროს პრელიუდიები ავტორის ერთ საუკეთესო ლექსად მიგვაჩნია. პროლეტარული პოეტი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და ეტყობა ვერხარნის გავლენა. მაღაროს პრელიუდიები შრომის და ბრძოლის ჰიმნია იმედიანი.

ორიგინალური მხატვრული პროზა იწყება **პაოლო იაშვილის „ფერადი ბუშტებით".** მოთხრობა წარმოადგენს პოეტის პირველ დებიუტს. პაოლო იაშვილის ნიჭს ყოველთვის შეადგენდა უბრალოებით დიდი მიხწევა. მოთხრობის ავტორი ჩვეულებრივი სახებით გვაძლევს იმდენ შთაბეჭდილებას, რისთვისაც სხვა მიმართავდა ქარბუქს და კორიანტელს.

მოთხრობაში ვხედავთ ცოცხალ სახეებს თბილისის და პარიზის მათხოვრებისას: კაპიტანი— მათხოვარი, რევოლიუციის ინვალიდი, მათხოვარი ლეონტი კაჩერგა, პარიზელი გასტონ— დე ლაროშ და სხვა.. ფერადი ბუშტები იწყება ძლიერი სტილით.

მუშათა ცხოვრება

დღეს, საღამოს ხუთ საათზე, ჩვენი რედაქციის ბინაზე დანიშნულია „კომუნისტი"-ს მუშკორების

მორიგი კრება

მუშკორებისთვის კრებაზე დასწრება სავალდებულოა.

მუშებს ნუ ატყუებენ.

(მუშათა და გლეხთა ინსპექციის და სახელმწიფო გამომცემლობის საყურადღებოდ).

ა—წ. 4 ივნისს მოვიდა რკინისგზის მთავარ სახელოსნოს კულტ-კომისიასთან ვინმე გოლშტეინი სახელმწიფო გამომცემლობის გამგის ხელმოწერილი მანდატით. მანდატები მას სხვა ბევრიც ჰქონდა (სწორეთ ამან მოგვატყუილა) და გვთხოვა აღმოგვეჩინა დახმარება „ლენინის" ნაწარმოების ქართულ ენაზე გამოცემის ხელისმომწერლების შეძენაში.

ჩვენ უთხარით, რომ ჩვენ თვითონ შევიძენთ ამ წიგნს და გავავრცელებთ ამხ. მუშა-მოსამსახურეებში-თქო. მაგრამ ალელვებულმა გოლშტეინმა დაიწყო მანდატების გადმოშლა, ჩვენ ცოტა ჩავფიქრდით და შემდეგ დავთანხმდით, მივეცით ამხანაგი და დაიწყეს ხელისმომწერთა სიის შედგენა. ხელი მოაწერა 71 კაცმა, ფასი, 50 მან. (უნდა გამოერიცხა სამმართველოს პირველ ორ თვეში ორი მანეთი და 50 კაპ. შემდეგი ორ-ორი მანეთი თვეში). ორი წიგნი უნდა მიგვეღო 15 ივნისისადმი, დანარჩენი კი იანვრის დამლევამდის 1924 წ.

ივნისი გავიდა, ივლისიც გადის ნელ-ნელა. გოლშტეინი კი არ სჩანს. ამხ. ზუმბაძეს მოველაპარაკე. ჩემმა ასეთმა ცნობამ ის განცვიფრებამდის მოიყვანა და თან სთქვა: უნდა ჩამოვართვა მანდატიო, როგორ ატყუებენ ხალხსო, მაგრამ ეს არ აუმჯობესებს ჩვენს მდგომარეობას. ჩვენ ვთხოვთ სახელმწიფო გამომცემლობის გამგეს ამხ. ზუმბაძეს მოგვცეს პრესის საშუალებით ახსნა-განმარტება: 1) თუ როდის დაურიგდება ზემოთაღნიშნული „ლენინის" ნაწარმოები ქართულ ენაზე რკინის გზის მთავარ სახელოსნოს მუშა-მოსამსახურეებს (ხელის მომწერლებს), 2) რათ აძლევენ ასეთ ხალხს მანდატებს, როგორიც ბრძანდება გოლშტეინი, როდესაც ჩვენ მოვსთხოვეთ გოლშტეინს ხელ-წერილი, რომ როდის ჩაგვაბარებდა ჩვენ ის წიგნებს, მას არ ეჭაშნიკა და სთქვა, ნიშნავს ეს თუ არა უნდობლობის გამოცხადებას სახელმწიფო გამომცემლობისადმი და სხ.

ასეთი ბედი ეწია რუსულ ენაზე გამოცემულ ლენინის ნაწარმოებს, რომელიც გამოსცა რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობამ, რომლის წარმომადგენელიც იყო ვინმე მიხაილაში, მოაგროვა ხელისმომწერთა სია, ფული გამოურიცხეს ზოგიერთ დარგის მუშებს ნაწილი, თვითონ მიხაილაში კი არ სჩანს.

რას ნიშნავს ეს?

განა ისეთ პირებს უნდა ჰქონდეს დავალებული ლიტერატურის გავრცელება, როგორიც არიან გოლშტეინი და მიხაილაში? **მუშების მოტყუილება არავის არ შერჩება.**

რკ.-გზ. მთ. სახელოსნოს კულტ-კომისიის მდივანი **ალ. ჯაფარიძე.**

ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიციაში

ა. წ. 10 ივლისს შესდგა ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიციის თანამშრომელთა კრება, რომელსაც დაესწრო მთელი შემადგენლობა. თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ამხ. ვ. რუხაძე და მდივნად ამხანაგ ს. მასხულია.

გაირჩა შემდეგი საკითხები:

1) ადგილობრივი რწმუნებულის მუშაობა.

2) ექსპედიციის მდგომარეობა და დამტარებელთა მუშაობა.

3) შემფასებელ საკონფ. კომისიის არჩევნები.

4) მიმდინარე საკითხები.

კრებამ მოისმინა ადგილობრივ რწმუნებულის მუშაობის შესახებ ამხ. ნატროშვილის მოხსენება, რომელმაც აღნიშნა, რომ რწმუნებულის მუშაობა არ უნდა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. სხვადასხვა მიზეზების გამო რწმუნებულს არ ჰქონდა საშუალება შეესრულებინა თავისი მოვალეობა, თუმცა იგი ცდილობდა ენერგიულად ემუშავნა.

კრებამ დაადგინა დარჩეს რწმუნებულად ამხ. ნატროშვილი და მიწერმოწერის საკითხისათვის ამხ. მასხულია. მეორე საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს კრების თავმჯდომარე ამხ. რუხაძე, რომელიც აღნიშნავს ექსპედიციის მდგომარეობას და სთვლის ექსპედიციის მუშაობას არა დამაკმაყოფილებლად. კრებამ დაადგინა, რომ დამტარებლები უნდა სასტიკად დაისაჯონ ყველა თავის შეცდომებისათვის და ეძლევა კანტორას წინადადება მიიღონ სწორი მისამართები. დამტარებლად უნდა აირჩენ ისეთი პირები, რომლებიც პირნათლად შეასრულებენ თავის მოვალეობას.

ამხ. ნატროშვილი აღნიშნავს, რომ ბევრი დასაკმაყოფილებელი მხარეები არ შესრულებულა ექსპედიციაში, რადგანაც საკონფლიქტო შემფასებელი კომისია არ ყოლიათ. მთელ რთულ ფუნქციებს ეხება ამხ. რუხაძე და მოითხოვს. არჩეულ იქნას საკ. შემფ. კომისია.

კომისიაში კრებამ აირჩია თავმჯდომარედ ამხ. ს. მასხულია და წევრებად ამხ. ამხ. ნატროშვილი და ახნაზაროვი.

ამასთან კრებამ მოისმინა სხვადასხვა საკითხები, მაგ: ტანსაცმელის უქონლობა, აბონემენტების შეძენა, და შვებულების აუცილებლობა, რის გამო მან დაადგინა გამოინახოს კოდექსის თანახმად ყოველივე საშუალებები, რომ გაუმჯობესდეს დამტარებლების მდგომარეობა.

უხილავი.

ა.-ქ. შრომის კომისარიატის რწმუნებულს საქართველოში.

შრომის კომისარიატის მიერ გამოქვეყნებული დადგენილება, რომელიც ეხება იმას, რომ შვებულებაში წასვლის დროს დამქირავებელი ვალდებულია მუშას მისცეს ძირითად ჯამაგირთან ერთად ზედმეტი ნამუშევრის ჯილდოც, თუ მას სისტემატიური ხასიათი ჰქონდა, რაღაცა მიზეზების გამო სისრულეში არ მოჰყავთ ადმინისტრატორებს და აღნიშნულ საშვებულებო ჯილდოს დაკანონებულ რაოდენობით არ გვაძლევენ. ამისათვის ვთხოვთ, თუ ეს საკითხი გამორკვეული არის, გასცენ განკარგულება, რათა შესრულებული იქნეს იგი უნაკლულოდ.

ახოთ-ამწყობი დ. თ.

მიაქციეთ ყურადღება

(ქალაქის ალმასკომს)

არა ერთხელ ყოფილა გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებული მოქ. ეკატერინა კაუფმანის უღიერი მოქმედება მცხოვრებლებისადმი, რომელიც სცხოვრობს ბათომის ქუჩაზე № 8-ში. არა ერთხელ ყოფილა მის თაობაზე დაწერილი განცხადება მცხოვრებლების მიერ მათი ხელის მოწერით მისი ამ ეზოდან გაძევების შესახებ, როგორც არასაიმედო ელემენტების. მისი შვილი კიდეც იყო ერთხელ ბოროტმოქმედების ადგილას შეპყრობილი და მაძებარ მილიციაში დაპატიმრებული ქურდობისათვის, მაგრამ მათ გაძევებას ამ ეზოდან არ ეშველა. ეკატერინა კაუფმანი დღესაც ლანძღავს მდგმურებს ეზოში, ის აღვივებს ეროვნულ შუღლს მათში, ის ეძებს მიზეზს, რომ თავის გახრწნილი ენით აალელვოს მცხოვრებნი, გამოიწვიოს ლაპარაკში და შემდეგ გალანძღოს ისინი. ლანძღვა-გინების გამოსაწვევათ ის არაფერს არ ერიდება.

ისინი გერმანელების აქ ყოფნის დროს გერმანელებით აშინებდენ ამ ეზოს მცხოვრებთ, ინგლისელების დროს ინგლისელებით და ეხლა კიდევ თავისუფლად დათარეშობენ და რას არ ჩადიან, ვინ იცის.

მიაქციეთ ამ მდგომარეობას ყურადღება.

მუშკორი მეტეორი.

ასეთები არ უნდა იყვნენ საბჭოთა სამსახურში.

(№ 1 გამსახლის ადმინისტრაციის საყურადღებოდ).

ბევრჯერ დაწერილა გაზეთებში № 1 გამასწორებელ სახლის ზოგიერთ მოსამსახურეზე—სამსახურისადმი გულგრილად მოპყრობის შესახებ, განსაკუთრებით კი ბუჰგალტერ ვიშნიკინზე, რომელიც გვიანჭამოდის სამსახურში და უხეშად ეპყრობა მოსამსახურეებს.

ჩვენ, გამსახლის თანამშრომლები, დარწმუნებულნი ვართ, რომ აწი მაინც არ ექნება ადგილი ასეთებს საბჭოთა დაწესებულებაში.

№ 1-ის და № 2-ის გამსახლის უფროსად დანიშნეს ამხ. ანტონ ხატიაშვილი, რომელიც გაწვრთნილი და შეგნებულიც არის ადმინისტრატიულ საქმეებში. ერთი კვირა არის, რაც მუშაობს და ბევრი რამ გაკეთდა მის ხელმძღვანელობით. ამხ. ხატიაშვილი შეუდგა ჩვენთანაც ენერგიულ მუშაობას ზოგიერთ პარაზიტების ასალაგმავად.

მუშკორი ა. დ. მათხოჯელი.

კიდევ ლოტკის ხიდის შესახებ.

(ქალ. ალმასკომის საყურადღებოდ).

მუშკორო რამდენიც გესურვოს იმდენი სწერე და სწერე გაზეთის ფურცლებზე მუშათა უბნის შესახებ—სულ ერთია ყურადღებას არ გაქცევს ალმასკომი. „ალბად", ეგრე ვფიქრობ. „სანამ 10 მუშა მაინც არ გადაიჩეხება ამ ხიდიდან, მანამდის არ შეკეთდება ეს ხიდი. მგონი, როგორც სურამის ციხე ვერ შეკეთდა უზურაბოდ, ალბად ეს ხიდიც ეგრედ უნდა იყვეს. თუ კიდევ არ არის დრო მისი შეკეთებისა ალმასკომო?

მუშკორი ხონელი.

ამოჩეხეთ ხის ძირები.

(ქალ. ალმასკომის საყურადღებოდ).

მუშტაიდის ბაღში მიმავალ დიდ ქუჩის მარჯვენა ტროტუარი ცხვირპირ სამტვრევად ყოფილა გაკეთებული. 5 ივლისს სამი ამხანაგი საღამოს ს. ორჯონიკიძის სახელ. კლუბში მიედიოდით. ერთმა ამხანაგმა წამოჰკრა ფეხი უსწორ-მასწორო ხის ძირს გაენარცხა მიწაზე; მოინდომა ოქმის შედგენა, მაგრამ ჩვენის დათათბირებით თავი დაანება და ცხვირ-პირ დასისხლიანებული ნიშნად კლუბში ს...მოვნებისა შინისკენ წავიდა. ასე ემართებათ ბევრ სხვებსაც.

კარგია, ამის შემდეგ მაინც მიაქცევდეს ყურადღებას ქალაქის ალმასკომი და ამ ხის ჯირკვებს ძირშივე ამოაჩეხინებდეს და „ტროტუარს" ნამდვილი ტროტუარის სახეს მისცემოდეს.

მუშა მექვაბე.

გამოგზავნილი წერილებიდან

ორთაჭალის მუშების გაჭირვება.

(ქალ. ალმასკომის და ტრამვაის დირექციის საყურადღებოდ).

ლამაზ კუთხის, ორთაჭალის, მცხოვრები მუშა-მოსამსახურენი განიცდიან დიდ გაჭირვებას ტრამვაის უქონლობის გამო. ამ ხაზზე მუშაობს მხოლოდ ერთი ვაგონი; მთელი საათობით უცდიან გულის ცემით მუშა-მოსამსახურეები სამსახურში წასვლის დროს, და ისიც ვინ იცის ვის გაუღიმებს ბედი და მოასწრებს ადგილის დაჭერას, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ხდებიან სიცხეში გაიარონ ფეხით ის დიდი მანძილი და სამსახურში უკვე დაღლილები ასრულებენ თავის მოვალეობას. ბევრი უსიამოვნება ხდება ხოლმე კონდუქტორების და მგზავრებს შორის იმ მიზეზით, რომ ერთი ვაგონი მუშაობს. საქმე ისე გამწვავდება ხოლმე ხანდისხან, რომ მილიცია იძულებული ხდება ჩაერიოს ამგვარ ჩხუბის დროს.

მეორე ჩვენი გაჭირვება არის ის, რომ კომუნალურ ქუჩაზე დიდი მოძრაობაა ურმების, ეტლების და ავტომობილების, რის გამოც დგება მოურწყავ ქუჩებიდან საშინელი მტვერი და ჩვენ იძულებული ვართ ვისუნთქოთ ეს მავნე მტვერი და საშველს არსაიდან არ ვხედავთ. ჩვენ მოვითხოვთ ქუჩების მორწყვას და ჩვენი კანონიერი ჩივილი არ უნდა დარჩეს ჰაერში.

რათ არ აკმაყოფილებენ დროზე?

დიდი ხანია, რაც ტეხნიკურმა მომუშავეებმა მიიღეს შრომის ბირჟაში ანგარიშები. ყველა კავშირის წევრს დამზღვევ სალაროდან ეძლევათ ფული მუშაობის ჯილდოთ. ამავე დროს არ გვესმის რა დააშავა რკინის გზის ბირჟის სექციამ? დღემდის მათთვის არ უზრუნვია არავის და დროზედ არ აკმაყოფილებენ, მარტო დაპირებაა, სხვა არაფერი.

ნ—ძი.

ჟურნალში დასრულდა დემნა შენგელიას რომანი „ხანავარდო".

რომანში არის საკმაოდ ძლიერი ადგილები, რომელნიც ფარავენ დიდ მანძილზე აქა-იქ გაბნეულ ყალბ სტრიქონებს. თემა ახალია. შელეტრისტი მხატვრულ ძალას აღწევს სამხრეთის ცხელი დღეების აღწერაში, განსაკუთრებულის სიძლიერით გადმოგვცემს საჭურისების სულიერ რაობას და სხ.

რომანის გმირი ბონდო აბსტრაქტიულია, მას არა აქვს სხეული, რომ სამუდამოდ დაგვამახსოვრდეს. საერთოდ დ. შენგელიამ ამ რომანით დიდი ნაბიჯი გადადგა წინ და თითქმის დაგვავიწყა „ანდრო სავანელის" ავტორის ყველა ძველი მოთხრობები.

მიხეილ ადამიშვილის „რასპუტინის კუდზე" წარმოადგენს კვაჭი კვაჭანტირაძის თავგადასავალის გაგრძელებას. „ჩანჩურას" და „კურკას ქორწილის" ავტორმა ისევ მიაგნო ბედნიერ თემას. კვაჭი უკვდავი ტიპია დღემდე და ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს ისეირნებს საქართველოდან რუსეთში, რუსეთიდან ევროპაში, რომ ისევ დაუბრუნდეს თავის სამშობლოს. „რასპუტინის კუდზე" უტყუარი სურათია მონარქიულ რუსეთის და მოთხრობის ყოველ სტრიქონზე გრძნობ ოქტომბრის აუცილებლობას.

რუსეთის ლიტერატურა მოცემულია **ილია ერენბურგის** „მეორე ყალიონით" და **ვასილ კაზინის** ლექსით „ლენინ".

„მეორე ყალიონი" საუკეთესო მოთხრობაა რუსეთში კარგად ცნობილ ნიჭიერ მწერლის ერენბურგის. „მეორე ყალიონში" გზიბლავს თავისებური სტილი და შინაარსის სიახლე. მოთხრობის წაკითხვის დროს თქვენ განიცდით იმ უდიდეს ტრაღედიას, რომელმაც უკვდავჰყო პარიზის კომუნა.

როგორც მოთხრობა, ისე ლექსი კარგად უთარგმნია ვ. გორგაძეს. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ უცხოეთის ლიტერატურის თარგმნა განსაკუთრებულ მიხწევებს იძლევა ჟურნალ „მნათობში", რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ლიტერატურის გამდიდრებისათვის.

ევროპის ლიტერატურის განყოფილება იწყება ე. ვაგნერის ლექსით: „ჰამბურგის მებრძოლებს" და სრულდება ბაირონის მისტერიით „კაენი", ორივე თარგმანი ეკუთვნის კონსტანტინე ჭიჭინაძეს, რომელიც განსაკუთრებულად ცნობილია, როგორც კარგი მთარგმნელი.

მიხეილ ქორელის წერილი: მხატვრულ-მოძრავი თეატრი საქართველოში, ეკუთვნის თავის საქმის დაკვირვებით მცოდნე ხელოვანს და შეეხება პრინციპიალურ საკითხს. ჭეშმარიტ ხელოვნებას მოკლებულ პროვინციისათვის მიზანშეწონილი იქნებოდა მოძრავი თეატრის დაარსება ცნობილი მხატვარის **კირილე ზდანევიჩის** მონოგრაფია ქართველ დიდ მხატვრის—ნიკო ფიროსმანის შესახებ არ არის სავსებით დამაკმაყოფილებელი. ზდანევიჩისაგან ამ საკითხზე მეტს მოველოდით. ნიკო ფიროსმანი ხალხის შვილი, პირველი მაგალითია იმის, თუ რამდენი ხელუხლებელი ძალაა დაგროვილი ხალხში.

აღსანიშნავია **შურა დუდუჩავას** წერილი: „ესთეტიური იდეალი ხელოვნებაში".

ლ. გ.-ს წერილი გამოწვეულია ბაირონის დაბადებიდან 100 წლის შესრულებით. ავტორი მოკლედ და დამახასიათებელ ხაზებში იძლევა ბაირონის ტიტანიურ ფიგურას.

ჟურნალის ამ ნომერში მოთავსებულია აგრეთვე **გიორგი ლეონიძის** ვრცელ მონოგრაფიის გაგრძელება ივ. მაჩაბელზე.

სამეცნიერო განყოფილება იწყება **მ. გოგიბერიძის** თხზულებით: „რელატიური თეორიის ფილოსოფიური საფუძვლებისთვის".

სარგის კაკაბაძე იძლევა ბევრ ახალ მასალას საქ. მე-18 საუკუნის ეკონომიურ ცხოვრების შესახებ. საქართველოს ვაჭრობა, სამხედრო საქმე, ეკონომიური მდგომარეობა, რუსეთთან და სპარსეთთან დამოკიდებულება საკმაო ცოდნით არის გარკვეული.

რიაზანოვი ცნობილი მარქსისტი, თავის წერილში იძლევა კარლ მარქსის და ფრ. ენგელსის ლიტერატურულ მემკვიდრეობის ახალ მასალებს.

ჟურნალი თავდება მდიდარი ბიბლიოგრაფიით.

„მნათობში" მოთავსებულია ბაირონის სურათი და ნიკო ფიროსმანის სურათების 3 რეპროდუქცია. ჟურნალი შეიცავს 320 გვერდს და ღირს 2 მანეთი.

გურული.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ინსტრუქცია

რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციისა და ამ საზოგადოებათა ყრილობების მოწვევისათვის ნებართვის გაცემის შესახებ.

(დასასრული *)

13. კულტის ასრულება, აგრეთვე ქადაგების წარმოთქმა, რამდენათაც ეს შეადგენს კულტის ღვთის მსახურების აუცილებელ ნაწილს, შეიძლება თავისუფლათ, წინასწარი ცენზურის მოუხდენლათ იმ პირობით-კი, რომ იგი თავის შინაარსით ფაქტიურათ მარტოოდენ რელიგიური ხასიათისა იყოს; აგრეთვე თავისუფლად და ისე, რომ ყოველ ცალკე შემთხვევისათვის საჭირო არ არის წინასწარი ნებართვა, მოქმედებს მლოცველთა კრება რელიგიური საზოგადოების სარგებლობაში მყოფ სადგომში, მიუხედავათ იმისა, თუ რამდენი ადამიანი მონაწილეობს ამ კრებაზე, აგრეთვე კრება მოწვეული იმ საკითხის გამო, რაც შეეხება ტაძრის დაცვა-შენახვას და საკულტო ქონების გამგეობას.

14. ბურჟუაზიულ-ანარქიული და სახელმწიფოს საწინააღმდეგო მოძღვრების რელიგიური მოძღვრების სახით გავრცელებისა და ქადაგებისათვის, რაც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იქნება მიმართული, დამნაშავე, სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების ძალით, სისხლის სამართალში იქნება მიცემული.

15. რელიგიურ ორგანიზაციას, თანახმათ დეკრეტისა სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის შესახებ, არა აქვს უფლება იქონიოს საკუთრება, აგრეთვე უფლება იურიდიული პირისა. ამის გამო რელიგიურ ორგანიზაციას, კერძოთ ყოფილ კონსისტორიებს, რომელთაც ეხლა საეპარქიო საბჭო, მართველობა, გამგეობა, გენერალური კონსისტორია და სხვ. ეწოდება, რა სახელიც უნდა ერქვათ. და რა კულტისაც უნდა იყვნენ, არ შეუძლიათ მიითვისონ სასამართლო, დამსჯელი და საგადასახადო ფუნქციები **ვინაიდან რელიგიურ ორგანიზაციას არა აქვს** იურიდიული პირის უფლება, მას არ შეუძლიან სამეურნეო, სამრეწველო, სავაჭრო და სხვ. მიზნით გასცეს მოწმობა ან მანდატი რელიგიური ორგანიზაციისა ან შენაერთის წარმომადგენლობისათვის. აგრეთვე ძალა არა აქვს ყოველგვარ ექსპერტიზას, მოწმობას და სხვა, რასაც გასცემს ეგრედ წოდებული „რელიგიური საზოგადოებათა და ჯგუფების გაერთიანებული საბჭო" იმ საქმის გამო, რომელიც შეეხება რელიგიურ რწმენის მიზეზით სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლებას და სხვა. რელიგიურ ორგანიზაციას შეუძლია გასცეს მანდატი, მოწმობა და სხვა მარტოოდენ რელიგიური ხასიათის საქმის გამო და მარტოოდენ რელიგიურ საქმეებისათვის რელიგიურ ჯგუფსა და საზოგადოებას შეუძლიან იხმაროს შტემპელი, ბეჭედი და ბლანკი.

16. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მოქალაქეს შეუძლია თავისი და თავისი ერთმორწმუნეთა სახელით მონაწილეობა მიიღოს რელიგიურ ყრილობაში, ხოლო არავითარ შემთხვევაში მას უფლება არა აქვს ამ ყრილობაზე გამოვიდეს საზოგადო, სახელმწიფო, საპროფესიო და სამრეწველო დარგის მშრომელთა სახელით, როგორც მათი წარმომადგენელი.

17. თანახმათ საკულტო შენობის უსასყიდლოთ სარგებლობის ხელშეკრულებისა, რელიგიური საზოგადოების წარმომადგენელნი პასუხს აგებენ მათდამი რწმუნებულ სახალხო ქონების შენახვისა და სიმრთელისათვის, აგრეთვე ტაძარში წესიერების დაცვათვის

ამის გამო თვით რელიგიური საზოგადოების ნებაყოფლობით თანხმობაზეა დამოკიდებული დაემორჩილოს ცენტრალურ ან საეპარქიო ორგანოთა მიერ შინაგანი საეკლესიო დისციპლინის წესით გაცემულ განკარგულებას იმდენათ, რამდენათაც ეს განკარგულება შეეხება საკულტო ქონების სამეურნეო მართვას, ან საეკლესიო თანამდებობის პირთა (კულტის მსახურთა, დარაჯების და სხვ.) მიერ თავისი მოვალეობის აღსრულებას.

18. რელიგიურ საზოგადოებათა ყრილობებს და მათ მიერ არჩეულ აღმასრულებელ ორგანოებს არ შეუძლიათ დააწესონ იძულებითი გადასახადი.

19. რელიგიურ საზოგადოებათა, ყრილობათა და მათ შემაკავშირებელ ორგანიზაციათა მოქმედების მეთვალყურეობა ევალება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს და მის ქვემდებარე ადგილობრივ ორგანოებს.

20. ყოველი რელიგიური საზოგადოება ექვემდებარება საზოგადო დებულებათ კერძო საზოგადოებათა და კავშირთა შესახებ, მაგრამ ამ უკანასკნელებისაგან იგი განირჩევა იმით, რომ არ სარგებლობს იურიდიული პირის უფლებას და საკუთრების უფლება არა აქვს.

21. ყოველგვარი კულტის რელიგიური საზოგადოებანი უფლებათა და მოვალეობათა მხრივ თანასწორნი არიან და არც ერთი მათგანი არ სარგებლობს რაიმე უპირატესობას და სუბსიდიას არც სახელმწიფოსაგან და არც მის ადგილობრივ და ავტონომიურ დაწესებულებათაგან.

22. რელიგიური საზოგადოების წევრებს ან მათ რწმუნებულებს შეუძლიათ ნებაყოფლობით შემოწირულების შეკრება საკულტო ქონების სარგებლობასთან დაკავშირებულ ხარჯების დასაფარავად, როგორც არის: გათბობა, სუფთად შენახვა და დაცვა ამ ქონებისა და სხვა, აგრეთვე შეკეთება საკულტო შენობისა.

23. თუმცა რელიგიურ საზოგადოებას არა აქვს იურიდიული პირის უფლებანი და საკუთრების უფლება, მაგრამ მას მაინც შეუძლია კერძო უფლებრივი ხასიათის ისეთი გარიგების დადება, რომელსაც კავშირი აქვს საკულტო ქონების სარგებლობასთან, მაგალითად, ხელშეკრულების დადება მგალობელთა დაქირავების, შეშის მოწოდება-მოტანის, წიგნების შეკეთების და სხვათა შესახებ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ამგვარი გარიგების შინაარსათ არ შეიძლება იყოს ისეთი ხელშეკრულებითი ურთიერთობა, თუნდაც კულტთან დაკავშირებული, რომელიც სავაჭრო ან სამრეწველო მიზნებს მისდევდეს, როგორც არის: იჯარა სანთლის ქარხნისა, სტამბის—სარწმუნოებრივ-ზნეობრივ წიგნების დასაბეჭდავად და სხვა.

24. თავიანთი საზოგადო კრების და დადგენილებათა შესასრულებლათ, აგრეთვე საგარეო წარმომადგენლობისათვის მოქალაქეებს, საჭიროების დაგვარათ, შეუძლიათ დანიშნონ კულტის მოსამსახურენი და თავიანთ წრიდან გამოჰყონ საჭირო რიცხვი რწმუნებულებისა, რომელთაგან თვითეული იმოქმედებს მისთვის მიცემული რწმუნების ფარგლებში.

25. რელიგიური საზოგადოების დახურვის წესი განისაზღვრება სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური კომიტეტის 1923 წლის 7 ივლისის დეკრეტით.

26. ინსტრუქცია ესე გამოიცემა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა და იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1923 წ. სექტემბრის 22 და დეკემბრის 20 გამოცემულ ინსტრუქციების შესაცვლელად და დასამატებლად.

იუსტიციის სახალხო კომისარი

ი. ვ ა რ ძ ი ე ლ ი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე ტ ა ლ ა ხ ა ძ ე.

1924 წ. ივლისის 9.

ქ. თბილისი.

იხ, „კომუნისტი" № 165.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პ ა რ ტ ი უ ლ ი

— დღეს, 24 ივლისს საღამოს 7 საათზე დანიშნულია „რემედასს"-ის პრეზიდიუმის საერთო კრება, სამხედრო კომისარიატის პოლიტ-განყ. უფროსის კაბინეტში.

ვთხოვთ წევრებს არ დაიგვიანონ.

— პარასკევს, 25 ივლისს, დილის 8 საათზე თბილისის კომიტეტის სამდივნოში დანიშნულია თბილისის კომიტეტთან არსებულ კოოპერატიულ კომისიის სხდომა.

ამხ. კახიანის, ერისთავის, ერქომაიშვილის, აქიმოვის, ვარლამოვის, კერვალიძის, მაიერის, მღებრიშვილის, ელბაქიანის, ცენტრო-კავშირის, „ბოეც კ. კ. ა."-ს და მალაკნების კოოპერატივის წარმომადგენელთა დასწრება სავალდებულოა.

ტფ. კომიტეტ. მდივანი რ უ ბ ე ნ ი.

— თბილისის კომიტეტის საარიცხვო-განმანაწილ. განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. მესხის ამიერ-კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო სამმართველოდან გამოცხადდეს საარიც.-განმანაწილ. განყოფილებაში 24 ივლისს, დღის 1 საათზე.

თბილისის კომიტეტის საარიცხ-განმან. განყოფილება.

მეფებს საყურადღებოდ.

— 27 ივლისიდან 4 აგვისტომდე ჩატარებული იქნება ყველგან კამპანია იმპერიალისტურ ომის დაწყებიდან 10 წლის თავის შესრულების გამო.

თბილისის კომიტეტის საავიტაციო-საპროპაგ. განყოფილება წინადადებას აძლევს ყველა შეფებს 27 ივლისისათვის გაემგზავრონ მათ შეფობის ქვეშ მყოფ სოფლებში ამ კამპანიის ჩასატარებლად.

მასალების მიღება შეიძლება რაიკომების საავიტ-საპროპაგ. განყოფილებებში.

თბილისის კომიტეტის საავიტ-საპროპაგ. განყოფ. გამგე ე ლ ი ს ა ბ ე დ ა შ ვ ი ლ ი.

განცხადებები

დადგენილება № 33

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმისა.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების № 21 ცხოვრებაში გატარების მიზნით, საქ. სახ. მეურნეობის საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. სპირტის და არაყის ქარხნების, აგრეთვე საწყობების პატრონები ვალდებულნი არიან სამი დღის ვადაში გაანთავისუფლონ სპირტეულობიდან ცივად საწმენდი აპარატები და თვით აპარატები დაშალონ შემადგენელ ნაწილებად.

2. ამ დადგენილების შეუსრულებლობისათვის დამნაშავენი დასჯილ იქნებიან სისხლ. სამართლ. კანონების 144 მუხ. მიხედვით.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე ა. ღოღიკაშვილი.

ნ. 1346 1—1. საქმეთა მმართველი მ. ბერიძე.

თბილისის საბაჟო

აცხადებს, რომ 29 ივლისს, დილის 10 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

კონტრაბანდულ საქონელის გასასყიდავათ: შევიოტი, ტყავეულობა, აბრეშუმის და ბამბის ჩულქები, გალანტერია, პარფიუმერია და სხვაგვარი საქონელი.

თბილისის საბაჟოს გამგის მოვალეობის

2—1 დროებით აღმასრულებელი კიკნაძე.

კახელ მევენახეთა კოოპერატიული საზოგადოების „კავშირთ-კავშირი"-ს გამგეობა

ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა საყურადღებოთ, რომ ორშაბათს, 28 ივლისს 1924 წლ. სად. მუკუზანში დილის 9 საათზე დანიშნულია

რწმუნებულთა არაჩვეულებრივი საზოგადო კრება.

განსახილველია:

1. საფილოქსერო სანერგის საკითხი.
2. მიმდინარე საკითხები.

ნ. 1345 1—1. „კავშირთ-კავშირი"-ს გამგეობა.

ხელისმომწერთა და მკითხველთა საყურადღებოთ

ცეკას გამომცემლობის მთავარი კანტორა და ექსპედიცია აცხადებს

რომ, რათა ხელისმომწერლებს გაუადვილდეს გაზეთების გამოწერა და ასცდენ ზოგიერთ ხარჯებს, ამისთვის ქალ. ქუთაისში ტყაგლაძეს, ბათუმში მთავარ პოლიტგანათლების წიგნის მაღაზიაში მჟავიას, ფოთში კონტრ. აგენტს ქადეიშვილს, ხონში გალდავაძეს და სამტრედიაში ახუბას მინდობილი აქვთ აწარმოონ ხელის მოწერა როგორც კოლექტიური, ისე ერთეული გაზეთ: „კომუნისტ"-ზედ, „მუშა"-ზე, „მიწის მუშა"-ზე და მოსკოვის გაზეთებზე.

ხელისმომწერლებს ვთხოვთ ადრევე შეუდგენ გაზეთების გამოწერას, რომ საშუალება დარჩეს კანტორა-ექსპედიციას თავის დროზე მიაწოდოს გაზეთები. ამასთანავე მისამართები უნდა იქნას სწორედ და გარკვევით აღნიშნული. პროვინციაში კი ნაჩვენები უნდა იყოს მისამართებში უახლოესი ფოსტის დაწესებულება.

მთავარი კანტორის და ექსპედიციის გამგე: ი. ბოლქვაძე.

5—1

ქალ. თბილისის ხელისმომწერთა საყურადღებოთ

რადგან ბევრია შემთხვევა, რომ მისამართები და ხელისმომწერთა სიები გამოგზავნილი არ არის სწორათ და გარკვევით შედგენილი, რაც იწვევს ხელისმომწერლებისათვის გაზეთების მიწოდების შეფერხებას და ზოგჯერ მიუწოდებლობასაც. შემცდარი მისამართების გამო, ამისათვის ცეკას გამომცემლობის მთავარი კანტორა—ექსპედიცია სთხოვს ყველა ხელისმომწერლებს, კოლექტიური იქნება თუ ერთეული და ადგილკომებს სიები და მისამართები სწორათ და გარკვევით იქნას შედგენილი, აღნიშნით უბნის, ქუჩის სახელწოდებით, სახლის და ბინის ნომრის და გვარით.

მთავარ კანტორის და ექსპედიციის გამგე ვ. ბოლქვაძე.

5—2

საქართველოს კომპარტიის ცეკას გამომცემლობის მთავარი კანტორა—ექსპედიცია

აუწყებს ორგანიზაციებს, დაწესებულებებს და კერძო პირთ, რომ ხელისმოწერას ღებულობს მოსკოვის ჟურნალ-გაზეთებზედ და პერიოდულ გამოცემებზე. კანტორა პასუხისმგებელია ხელის მომწერლებისათვის თავის დროზედ მიწოდებაში. მსურველებმა უნდა გამოიწერონ არა უგვიანეს თვის 28 რიცხვისა.

ხელისმოწერა ყოველ დღე დილის 9—2 საათამდე. მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 24 მეორე სართული.

მთავარ კანტორის და ექსპედიციის გამგე ვ. ბოლქვაძე

5—2

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ-არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდით ექიმობას საჭიროებენ

სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით

ბით. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 126—25—11

ექიმი გ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი, გულისა და ჭლექით დაავადმყოფებულნი. სპეც. ციების წამლობა—შეზხაპ. 914, ყოველ ორგანოების განათება, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა

რენტგენის სხივებით

დილ. 9—1 დღ. და 6—8 ს. სად. ბებუთოვის ქუჩა № 23.

1562 13—1

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 4652, პირადობის მოწმობა საქ. სახ. ვაჭ. საპ. ამხ. მოცემული და სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი მიღებული 1-ლი სამ. უბნიდან დ. გარსევანიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1561 1—1

კახელ მევენახეთა კოოპერატიული საზოგადოება „კახეთი"-ს გამგეობა

ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა საყურადღებოდ, რომ შაბათს, 26 მკათათვეს 1924 წელს სად. გურჯაანში (კახეთის რკინის გზა) დილის 10 საათზე დანიშნულია

რწმუნებულთა საზოგადო კრება

განსახილველია:

1. წევრთა სიის გადასინჯვა.
2. განხილვა და დამტკიცება 1922/23 საოპერაციო წლის ანგარიშისა.
3. განხილვა და დამტკიცება 1923/24 საოპერაციო წლის ხარჯთ-აღრიცხვის და მომავალ მოქმედების გეგმისა.
4. მოხსენება საბჭოსი.
5. მოხსენება გამგეობისა.
6. მოხსენება სარევიზიო კომისიისა.
7. არჩევნები გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრებისა.
8. მოხსენება მევენახეობა-მეღვინეობის დარგის კოოპერატიულ მშენებლობის შესახებ.
9. მიმდინარე საკითხები.

თუ კრება რწმუნებულთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო 26 მკათათვეს არ შესდგა—გადაიდება 27 მკათათვისათვის და კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი რწმუნებულიც უნდა დაესწროს.

ნ. 1344 2—2. საზ. „კახეთი"-ს გამგეობა.

ტირაჟი—6012

სტამბა „ზარია ვოსტოკის", სამ. წულუკიძის ქუჩა № 4.